ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 1 აგვისტო, 2017 №180 (7415) ფასი: 50 თეთრი

სამეგრელოს 7 ახალი მილიონერი ჰყავს

გვ.6

1 აგვისტოდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში ორშაბათის სიზმარი

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

„საქართველო ამერიკულ ორბიტაზე დაბრუნდა“

გვ.2

რაზე ისაუბრებს მაიკლ პენსი ქართულ ოპოზიციასთან

ლია მუხაშავრია: „წულუკიანი სტრასბურში მოსამართლეთა სიის ჩავარდნის გამო უნდა გადამდგარიყო“

გვ.3

„უფასო სასადილოებში სოციალურად დაუცველები უხარისხო საკვებს იღებენ“

გვ.3

თეონა ჭალიძე: „სად გაქრა 3.066 ადამიანი“

გვ.4

პეტრე მამრაძე: „სააკაშვილმა შეიძლება ჰოლანდიის მოქალაქეობა მიიღოს“

„ეგ კაცი პათოლოგიური ლაჩარია, უსაფრთხოების გარანტია თუ არ აქვს, არსად ჩამსვლელი არ არის“

გვ.5

„ამერიკის მხარდაჭერა იქითკენ არის მიმართული, რომ რუსეთმა თავი დაგვანებოს“

თორნიკე შარაშენიძე: „მარტო ამერიკა რას იზამს, ჩვენც თუ არ ამოვიღეთ ხმა?!“

აფხაზეთის ოფისები თურქეთსა და ვენესუელაში დაიხურა

გვ.5

ISSN 1987-9385

„საქართველო ამერიკულ ორბიტაზე დაბრუნდა“

რაზე ისაუბრებს მაიკლ პენსი ქართულ ოპოზიციასთან

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 31 ივლისს, დიდი დღე იყო – საქართველოში აშშ-ის ვიცეპრეზინდენტი მაიკლ პენსი ჩამოვიდა. ქართველი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნაწილმა ამ ვიზიტს ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ მიანიჭა ისტორიული მოვლენის კვალიფიკაცია.

აშშ-ის მეორე პირის დასახვედრად საქართველოს ხელისუფლება საგანგებოდ მოემზადა. სპეციალურად პენსისთვის თბილისში გზები გადაიკეტა. პუშკინის სკვერსა და აეროპორტში მის დასახვედრად ხალხი შეიკრიბა.

საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე პენსის ჩამოსვლას საქართველოსადმი აშშ-ის მხარდაჭერის გამოვლინებად მიიჩნევს. მისი თქმით, აშშ-ის ასეთი მაღალი დონის მხარდაჭერა განპირობებულია საქართველოს მთავრობის საქმიანობით.

– აშშ ყოველთვის იყო გარანტი ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკურ ოჯახში ინტეგრაციის. 25 წელი გავიდა საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან და ამ პერიოდში ამერიკის მხარდაჭერა, პოლიტიკური თუ ფინანსური, გადამწყვეტი იყო ჩვენი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა თუ შენარჩუნებისთვის. აშშ გახლავთ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდამჭერი.

პრეზიდენტ ტრამპის დავალებით, ამერიკის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში ახალი ადმინისტრაციის ხელისუფლებაში მოსვლიდან ხანმოკლე ვადაში ამ მხარდაჭერის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია. აღნიშნული ვიზიტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ამერიკის ახალ ადმინისტრაციასა და საქართველოს მთავრობას შორის ჩამოყალიბებულ ძალიან კარგ ურთიერთგაგებას, – განაცხადა ჯანელიძემ.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს გიორგი აბაშიშვილის განცხადებით, ეს ვიზიტი რუსი ოკუპანტებისთვის სერიოზული გზავნილი იქნება.

– პენსის ვიზიტი არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გზავნილი ოკუპანტისთვის, იმ ფონზე, როცა მიმდინარეობს მცოცავი ოკუპაცია. ეს არის მესიჯი, რომ არასოდეს შერჩებათ ის ქმედებები და პოლიტიკა, რომლებსაც ახორციელებენ სუვერენული ქვეყნების, საქართველოს წინააღმდეგ, – განაცხადა აბაშიშვილმა.

აშშ-ში საქართველოს ელჩ დავით ბაქრაძის განცხადებით, რუსული ოკუპაცია არის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელსაც ქართული მხარე აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ მაიკლ პენსთან შეხვედრაზე დააყენებს.

– აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის თბილისში ვიზიტის დროს მიმდინარე ოკუპაცია, მცოცავი ანექსია იქნება უმთავრესი საკითხი, რომელსაც ჩვენ დავაყენებთ. პენსის ვიზიტის დროს განიხილება უსაფრთხოებისა და თავდაცვის, ასევე სავაჭრო და ეკონომიკურ სფეროში ურთიერთობების გაღრმავების საკითხები, – აღნიშნა ბაქრაძემ.

მისი თქმით, შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს მთავრობის მეთაური აშშ-ის ვიცეპრეზიდენტს უკვე მესამედ ხვდება.

– ის ფაქტი, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და აშშ-ის ვიცეპრეზიდენტს შორის 6 თვეში უკვე მესამე შეხვედრა გაიმართება, მეტყველებს იმ დინამიკაზე, რომელიც საქართველოსა და აშშ-ის ახალ ადმინისტრაციას შორის არსებობს, – აღნიშნავს აშშ-ში საქართველოს დესპანი.

პენსის საქართველოში ვიზიტს დასავლური მედიაც აქტიურად აშუქებს. ბიბისი-ს აზრით, საქართველო შეერთებული შტატების ორბიტაზე ბრუნდება.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენლის პირველი ვიზიტი საქართველოში აჩვენებს, რომ ვაშინგტონი კვლავ არსებით ყურადღებას აქცევს ახალ, არატრადიციულ მოკავშირეებსა და პარტნიორებს.

– მაიკ პენსის ვიზიტი არის ნათელი ნიშანი, რომ შეერთებული შტატები ამ საკითხში მათ მხარს უჭერს, – ვკითხულობთ სტატიაში.

რუსული ოკუპაცია აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა საქართველოში ჩამოსვლამდე დაგმო. თბილისამდე ის ტალინს სტუმრობდა, სადაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკების პირველ პირებს ხვდებოდა.

მან ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის პრეზიდენტებს რუსული აგრესიის პირობებში დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მხარდაჭერა დაუდასტურა და კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ვაშინგტონი მტკიცედ იცავს ნატოს მეხუთე მუხლს, რომლის თანახმადაც, ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა ყველაზე თავდასხმას ნიშნავს.

– ჩვენ ერთად ვდგავართ აქ და მთელ მსოფლიოში, რადგან ვიცით, რომ ძლიერი და ერთიანი ნატო დღეს უფრო აუცილებელია, ვიდრე კომუნიზმის ჩამოშლის შემდეგ ოდესმე ყოფილა. ბალტიისპირეთის ქვეყნებს დღეს არ ემუქრება იმაზე მეტი საფრთხე, რომელსაც აღმოსავლეთში არაპროგნოზირებადი მეზობლის აგრესიის აჩრდილი წარმოადგენს. ამ წუთებში რუსეთი განაგრძობს ძალის გამოყენებით საერთაშორისო საზღვრების შეცვლისა და სუვერენული ერების დემოკრატიის დარღვევის მცდელობებს და ცდილობს, გაყოს და ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყოს ევროპის თავისუფალი ერები.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი უარყოფს ძალის გამოყენების, მუქარის, დაშინების ან მავნე გავლენის მოხდენის ნებისმიერ მცდელობას ბალტიისპირეთის ქვეყნების ან რომელიმე ჩვენი მოკავშირე პარტნიორის წინააღმდეგ, – განაცხადა მაიკ პენსმა.

* * *

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტს თბილისის აეროპორტში საქართველოს პრემიერი და მისი მეუღლე დახვდნენ. ისინი ერთობლივ განცხადებას დღეს, 1 აგვისტოს, გააკეთებენ. დღესვე პენსი საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან ერთად სწავლება „ღირსეული პარტნიორობის“ მონაწილეებს მიმართავს.

ის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსაც მოინახულებს. მათი შეხვედრა სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში შედგება.

დღეს, 1 აგვისტოს, მაიკ პენსი ოპოზიციასაც შეხვდება. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტთან შეხვედრის პატივი მხოლოდ 4 პარტიას ერგო. ესენი არიან თავისუფალი დემოკრატები, დავით უსუფაშვილის პარტია, ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო.

პენსის ხილვის იმედი დემოკრატიულ მოძრაობაშიც ჰქონდათ. 31 ივლისს მათ შეატყობინეს, რომ მაღალი რანგის სტუმართან შეხვედრაზე მიწვეული არ არიან. ამ უარმა პარტიის ლიდერი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ძალიან გააბრაზა. მან ამერიკას დემოკრატიის ხარისხი დაუწუნა.

ბურჯანაძის განცხადებით, მისი პოზიციის მოსმენა დიდად არც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სურს.

– მაიკ პენსი შეხვდება ოპოზიციურ პარტიებს, მაგრამ ჩვენი პარტია არავის მიუწვევია ამ შეხვედრაზე. ეს არ მიკვირს. ასე ხდებოდა სააკაშვილის ხელისუფლების დროს. იყო შემთხვევები, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტრო ინფორმაციას ავრცელებდა, თითქოს მე არ ვიყავი საქართველოში ან პირდაპირ ეუბნებოდა, ბურჯანაძე არ მოიწვიოთო. იგივე ხდება დღესაც. პენსი ხვდება იმ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებისგანაც იმას მოისმენს, რის მოსმენაც სურს.

არ გვხვდებიან ჩვენ, ვისაც განსხვავებული მოსაზრება გვაქვს. უდავოდ მნიშვნელოვანია ამერიკის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მნიშვნელოვანია უფრო ამერიკისთვის, ვიდრე საქართველოსთვის, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

მისგან განსხვავებით, პარლამენტის ასევე ყოფილ თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს ძალიან გუმართლა. ის პენსს „შენების მოძრაობის“ ლიდერის ამპლუაში შეხვდება და, როგორც თავად ამბობს, სამ ძირითად საკითხზე ისაუბრებს.

– ამერიკის ახალი ადმინისტრაციის კონცეფციაა „ამერიკა პირველ რიგში“, ჩვენი კონცეფციაა „საქართველო პირველ რიგში“. ამ მიზნების რეალიზებისთვის ორი ქვეყნის ინტერესები სრულ თანხვედრაშია.

1 აგვისტოს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ პენსთან მე მექნება საუბარი სამ ძირითად საკითხზე.

პირველ რიგში, ევროკავშირის საზღვრებს მიღმა აღმოსავლეთით მთელ კონტინენტზე საქართველო არის აშშ-ისა და დემოკრატიული სამყაროს ყველაზე უფრო საიმედო პარტნიორი და ეს რეალობა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ვისაუბრებ იმაზე, რომ საქართველოს მოქმედი და წინა ხელისუფლების დემოკრატიული პოტენციალი არ არის ის მაქსიმუმი, რომელიც ქართველ ხალხს გააჩნია.

ჩვენ უახლოეს საპარლამენტო არჩევნებზე ამას დავამტკიცებთ. საამისოდ კი გვჭირდება ჩვენი ქვეყნის მეგობრების მეტი დახმარება, რათა საკონსტიტუციო თუ სხვა პროცესებში დაცული იყოს დემოკრატიის მაღალი სტანდარტები. დაბოლოს, საქართველოს ეკონომიკური ძლიერება და მოქალაქეების კეთილდღეობა არის აუცილებელი წინაპირობა იმისათვის, რომ ქვეყანამ შეძლოს ღირსეული და საიმედო პარტნიორობა დემოკრატიულ სამყაროსთან. ამიტომ ორივე მხარის ინტერესებშია საქართველოს გაძლიერებისთვის კომპლექსური და გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება, გარკვეულწილად „მინი მარშალის გეგმა“, რის პრეცედენტებიც არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, – აცხადებს დავით უსუფაშვილი.

გორის ცენტრალურ მოედანზე ამერიკულმა საბრძოლო ჯავშანმანქანებმა გაიარეს

31 ივლისს გორში ამერიკული საბრძოლო ჯავშანმანქანები გამოჩნდნენ. მათ ცენტრალური მოედანი გაიარეს, სადაც სტალინის ძეგლი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იდგა და სადაც აგვისტოს ომის დროს რუსული ჭურვები ცვიოდა.

ამერიკული ტექნიკის გამოჩენას ადგილობრივები საქართველოსა და ამერიკის დროშებით შეხვდნენ.

* * *

ცნობისათვის, მრავალეროვნული სამხედრო სწავლებისთვის „ღირსეული პარტნიორი“ აშშ-ის ტექნიკის მორიგი ნაწილი ფოთის პორტში 30 ივლისს შევიდა.

ფოთიდან ტექნიკა გორის გავლით წაიყვანეს თბილისში. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ამერიკული საბრძოლო ჯავშანმანქანა „სთრაიკერი“ საერთაშორისო სწავლებაში მონაწილეობას პირველად მიიღებს.

„ღირსეული პარტნიორი 2017“ 30 ივლისს ოფიციალურად გაიხსნა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლია მუხაშავრია: „წულუკიანი სტრასბურში მოსამართლეთა სიის ჩავარდნის გამო უნდა გადამდგარიყო“

ნათია ხურცილავა

ადამიანის უფლებათა დამცველი, ადვოკატი **ლია მუხაშავრია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ქალბატონო ლია, სახელმწიფო კომისია, რომელმაც სტრასბურში მოსამართლეობის კანდიდატები უნდა შეარჩიოს, არ არის გამორიცხული, რომ არასამთავრობო სექტორმა დატოვოს, თუ მათ პოზიციას ხელისუფლება არ გაიზიარებს. თუ ასე განვითარდება მოვლენები, ეს კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს სიის მობრუნების?

– ამ სახელმწიფო კომისიის კომპოზიცია, მისი შემადგენლობა თავიდანვე მიუღებელი იყო ჩემთვის, რადგანაც არასამთავრობო სექტორი კი შეიყვანეს შემადგენლობაში, მაგრამ სრულ უმცირესობაში აღმოჩნდნენ ჩემი კოლეგები ამ კომისიაში. მათ ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინეს კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებაზე, რამაც გამოიწვია ორი სამარცხვინო სია და საბოლოოდ ამ სიების უკან მობრუნება. ასე რომ არ განვითარებულიყო მოვლენები, ეს კომისია სრულიად სხვაგვარად უნდა დაკომპლექტებულიყო.

– როგორ?

– გარკვეული გავლენის მოხდენა უნდა შესძლებოდათ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს კანდიდატების შერჩევაზე, ამ პროცესზე. არსებული სურათით კი მოვიღეთ ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ფარად იყვნენ გამოყენებულნი. ამიტომ ჩემი კოლეგებისთვის თავიდანვე უნდა ყოფილიყო ცხადი, რომ ამ კომისიაში მონაწილეობა შედეგიანი ვერ იქნებოდა. მათი კომისიაში შეყვანა ემსახურებოდა მხოლოდ იმ მიზანს, რაც იუსტიციის მინისტრის სავარაუდო ჩანაფიქრი იყო.

– რა იყო ჩანაფიქრი?

– როგორი კარგი, კეთილშობილური კომისია შექმნა, ყველაზე უფრო ღია და ყველაზე უფრო გამჭვირვალე სახელმწიფო კომისია, რაც აქამდე შექმნილა, სადაც არასამთავრობო სექტორიც კია წარმოდგენილი და ჩართული მის მუშაობაში. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ პირველივე შედეგების დროს გამოიკვეთა ეს უთანხმოება არასამთავრობოებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. მახსოვს, ზაზა ხატიაშვილის, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარისა და ანა ნაცვლიშვილის, რომელიც წარმოადგენს კომისიაში არასამთავრობოთა კოალიციას, პირველი შედეგების მიმართ გამოთქმული უთანხმოება.

– ხატიაშვილი საპროტესტო პლაკატებით სტრასბურშიც კი იყო ჩასული.

– დიახ. ეს სია სრულად იქნა ევროპის საბჭოში დაწუნებული.

– თქვენ ამბობთ, რომ მათ კომისია უნდა დაეტოვებინათ?

– ჩემი აზრით, რა თქმა უნდა, ეს იდეა ჯერ კიდევ მაშინ უნდა გამოეთქვათ, როდესაც პირველი სია მოგვიბრუნეს და არაფერი შეცვალა ხელისუფლებამ კომისიის მუშაობასა და დაკომპლექტების წესში. მეორედ როდესაც კომისია შეიკრიბა, მათ მუშაობაზე უარი უნდა ეთქვათ. თუმცა, მე ვიტყოდი, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ხომ დაინახეს, რომ მათ მოსაზრებებს კომისიაში ანგარიშს არავინ უწევდა და შერჩეულ იქნენ ისეთი კანდიდატები, რომლებიც მიუღებელი აღმოჩნდნენ ევროპის საბჭოსთვის.

ჩვენ შევეჩვიეთ, რომ თვითნებობს უმაღლესი თანამდებობის პირი და ვისაც უნდა, იმას ნიშნავს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქვეყნის შიგნით. ასეთი რამ კი სტრასბურისთვის სრულიად მიუღებელია, მეტიც, გაუგებარია.

ორი ასეთი შედეგი საკმარისზე მეტი საფუძველია, რომ თეა წულუკიანი თანამდებობიდან აქამდე გადამდგარიყო.

– ეს ის საკითხია, რომელზეც პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აეღო ხელისუფლებას?

– რა თქმა უნდა. ერთმნიშვნელოვნად იუსტიციის მინისტრი უნდა გადამდგარიყო. თუ მას პოლიტიკური გამჭრიახობა არ ჰყოფნის, მაშინ მთავრობას უნდა ეზრუნა ამაზე. ადამიანს ასეთი საპასუხისმგებლო საქმე ჰქონდა ჩაბარებული და მან ამ საქმეს თავი ვერ გაართვა. წულუკიანს მეტნაკლებად ყველაზე უკეთესად მოეხსენება, თუ როგორი უნდა იყოს ევროპის სასამართლოს მოსამართლე. როდესაც ის, კომისიის თავმჯდომარის რანგში, 3 კანდიდატის შერჩევას ვერ ახერხებს, რომ არ დაგვიწუნონ ასეთ საერთაშორისო არენაზე კანდიდატები და ზედიზედ ორჯერ ხდება ასეთი ჩავარდნა, ეს საკმარისზე მეტი მიზეზია, რომ წულუკიანი იუსტიციის მინისტრი არ იყოს.

– შემდეგი კონკურსი როგორი უნდა იყოს, ვინ უნდა იყოს თავმჯდომარე, რა უნდა შეიცვალოს, რომ იგივე არ გამეორდეს?

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხებია, მაგრამ მომხდარ ფაქტებზე ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს. თუ თეა წულუკიანი მესამედაც ჩაუდგება ამ კომისიას სათავეში, რა თქმა უნდა, მაშინ არასამთავრობოებმა კომისია უნდა დატოვონ. მე ზაზა ხატიაშვილს ასევე მოვუწოდებდი, რომ ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღოს. არცერთი საუკეთესო კანდიდატი, რომლებიც მათ შეარჩიეს, კომისიის მიერ არ იყო გაზიარებული საბოლოო ჯამში არც პირველ და არც მეორე

შემთხვევაში. ამიტომ, თუ არაფერი შეიცვლება, უპრიანია, ამ სამარცხვინო კომისიას ფასადს ნუ გაულამაზებენ და დატოვონ კომისია.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა დაკომპლექტდეს კომისია და ვინ უნდა შედიოდეს მასში, ეს პროცედურა გაწერილი არ არის. მას ქმნის სახელმწიფო, ყველა სუვერენული ქვეყანა თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, როგორი წესითა და პროცედურით შეარჩიოს ასეთ მაღალ საპასუხისმგებლო პოზიციაზე მოსამართლეობის კანდიდატი.

ევროპულ ქვეყნებში ვერ წარმოუდგენიათ, რომ იუსტიციის მინისტრსა და მაღალი საჯარო თანამდებობის პირს არ ეყოფა არც მორალური შეგნება და არც პოლიტიკური სიმწიფე, რომ სათანადო კანდიდატები შეარჩიოს ამ თანამდებობისთვის. ის, რაც დღეს ჩვენთან ხდება, არის იმის გამოვლინება, რომ ჩვენთან თანამდებობის პირების გამწესება ხდება პარტიული ნიშნით, ხელისუფლებასთან სიახლოვით და არა – კვალიფიკაციით, გამოცდილებით და ა.შ.

თუ იუსტიციის მინისტრმა ამ საქმეს თავი ვერ გაართვა და ფაქტია, რომ ვერ გაართვა, დარწმუნებული ვარ, ის უნდა წავიდეს თანამდებობიდან.

„უფასო სასადილოებში სოციალურად დაუცველები უხარისხო საკვებს იღებენ“

თეონა ჭალიძე: „სად გაქრა 3.066 ადამიანი“

შორენა მარსაგიშვილი

უფასო სასადილოებთან დაკავშირებული სკანდალი გრძელდება. დაახლოებით 2 თვის წინ „ახალმა საქართველომ“ უფასო სასადილოებთან დაკავშირებით კვლევა გამოაქვეყნა, საიდანაც აშკარად ჩანდა, რომ საქმე კორუფციულ სქემასთან გვქონდა. მოკვლეული მასალები შესასწავლად მთავარ პროკურატურას გადაეცა.

კორუფციული სქემის გაშიფვრის შემდეგ უფასო სასადილოებში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, საკვების ხარისხსაც გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა, თუმცა კითხვები ისევ არსებობს.

„ახალი საქართველოს“ სოციალური სამსახურის უფროსი თეონა ჭალიძე მერიასა და გამგეობებს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯარიმებული ფირმების მფარველობაში ადანაშაულებს.

რამდენიმე თვის განმავლობაში თეონა ჭალიძე პირადად აგემოვნებდა იმ სადილს, რომელიც უფასო სასადილოებში მზადდებოდა. ის ადრეც აცხადებდა და ახლაც იმეორებს, რომ სოციალურად დაუცველები უხარისხო საკვებს იღებენ.

„ახალი საქართველოს“ კვლევის კვალდაკვალ უფასო სასადილოები სურსათის ეროვნულმა სააგენტომაც შეამოწმა.

– სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 2017 წლის ივნისში უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამის ფარგლებში თბილისში არსებულ 6 სასადილოში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების დროს გამოავლინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

კერძოდ, სამგორის რაიონში, ლილოს დასახლებაში, ჭირნახულის 18-ში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომი, მე-4 მ/რ კორპ 12-ში, გლდანის რაიონში, ხიზანიშვილის 32-ში, ისნის რაიონში, გაბრიელ სალოსის 105-ში, მთაწმინდის რაიონში, ლაღიძის 6-ში მდებარე სასადილოებში სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლის მე-3 და პირველი პუნქტების საფუძველზე მოხდა შესაბამისი ბიზნესკომპანიების დაჯარიმება. მათ შეუჩერდათ საწარმოო პროცესი კრიტიკული შეუსაბამობის აღმოფხვრამდე. ეს ბიზნესკომპანიები არიან შპს „ნილი“, შპს „ილი ჯგუფი“, ი/მ თამაზ სიხარულიძე, ი/მ თამარ ჭურაძე, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ჭალიძე.

მისი ინფორმაციით, სწორედ ეს ბიზნესოპერატორები არიან გამარჯვებულები რაიონული გამგეობების მიერ გამოცხადებულ სამწლიან ტენდერებში – 2014 წლის დეკემბრიდან 2018 წლის პირველ კვარტლამდე პერიოდში.

– ამ კომპანიებს თბილისის რაიონული გამგეობებიდან ჩაერიცხათ, ჯამში, 28 მილიონ ლარზე მეტი. ,,ახალი საქართველოს“ სოციალური სამსახურის კვლევის საფუძველზე ჩვენ ვაცხადებდით, რომ ,,უფასო სასადილოებში“ საკვები იყო უხარისხო და საკვებად უვარგისი. სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგებმა დაადასტურა ჩვენი კვლევის შედეგები.

თბილისის მერია ხელს აფარებს ამ კომპანიებს და ათასობით ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აყენებს, – ამბობს „ახალი საქართველოს“ სოციალური სამსახურის უფროსი.

მერია/გამგეობები რომ ხელს აფარებენ სასადილოებში არსებულ დარღვევებს, ამის დასადასტურებლად ჭალიძეს ასეთი მაგალითი მოჰყავს:

– 2017 წლის იანვრიდან თბილისის ათივე რაიონული გამგეობის თანამშრომლების მიერ სასადილოების შემოწმების დროს შედგენილია ოქმები და აქტები. ,,ახალი საქართველოს“ სოციალურმა სამსახურმა 763 ასეთი ოქმი და აქტი შეისწავლა.

აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა ერთმანეთისგან გადაკოპირებული და გადაწერილია. მათში არ არის ასახული რეალობა, საკვების ხარისხით უკმაყოფილო მოქალაქეები. არ იყო ჩატარებული სრულყოფილი მონიტორინგი. აღნიშნული არ იყო, რამდენ ბენეფიციარს მიჰქონდა მხოლოდ პური და არა მთლიანი ულუფა.

„ახალი საქართველოს“ სოციალური სამსახურის უფროსის თქმით, ამ ყველაფერს სასწრაფო რეაგირება უნდა მოჰყვეს.

– ჩვენ ამ ოქმების შესწავლის მოთხოვნით მივმართეთ მერიის აუდიტის სამსახურს და მოვითხოვთ აღნიშნულ ოქმებზე ხელისმომწერი საჯარო მოხელეების თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, რომლებმაც გამოიჩინეს გულგრილობა და ზერელედ შეავსეს ოქმები. ასევე მივმართავთ პროკურატურას, რომ მაქსიმალურად სწრაფად იქნეს გამოძიება ბოლომდე მიყვანილი უფასო სასადილოების საქმეზე, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში თეონა ჭალიძე.

ცნობისთვის, უფასო სასადილოებში ძირითადი სიით 39.251 ბენეფიციარი 2.803 დამატებით სიაშია, ხოლო 3.964 მოქალაქე მოლოდინის რეჟიმშია და სასადილოთი სარგებლობის რიგს ელოდება.

მისი აზრით, შესაძლოა, დიდი სკანდალი მოჰყვეს მოლოდინის რეჟიმში მყოფი მოქალაქეების რაოდენობასაც.

– ამ თემაზე ძალიან საინტერესო ამბავი ხდება. მარტში, ოფიციალური ინფორმაციით, 7.030 ადამიანი იყო მოლოდინის რეჟიმში. დღევანდელი მონაცემებით, მათი რიცხვი შემცირდა 3.964-მდე. საინტერესოა, რის ხარჯზე მოხდა ამ ციფრის შემცირება, სად წავიდა 3.066 ადამიანი, – კითხულობს „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

თეონა ჭალიძე ამბობს, რომ უკვე გამოითხოვა ოფიციალური დოკუმენტაცია, დოკუმენტაციის მიღებამდე კი ასეთ ვარაუდს გამოთქვამს:

– ვერ იტყვიან, რომ ეს ადამიანები ძირითად სიაში შეიყვანეს. სია გაზრდილი არ არის, თანაც, სია რომ გაზრდილიყო, ახალი სასადილო უნდა დაემატებინათ, ახალი სასადილო კი არ გაუხსნიათ. ველოდები ოფიციალურ ინფორმაციას. თუ ოფიციალურად გვეტყვიან, რომ 3.066 ადამიანი ძირითად სიაშია, მაშინ გამოდის, რომ ისინი სიაში არსებული ე.წ. მკვდარი სულების ნაცვლად ჩაწერეს.

პეტრე მამრაძე: „სააკაშვილმა შეიძლება ჰოლანდიის მოქალაქეობა მიიღოს“

„ეგ კაცი პათოლოგიური ლაჩარია, უსაფრთხოების გარანტია თუ არ აქვს, არსად ჩამსვლელი არ არის“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** „ახალ თაობასთან“ სააკაშვილსა და უკრაინასთან საქართველოს ურთიერთობებზე საუბრობს.

– ბატონო პეტრე, თუ მოელოდით, რომ ერთ დღეს მიხელ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობას ჩამოართმევდნენ, მოქალაქეობის არმქონე პირად იქცეოდა და საძებნი ექნებოდა ქვეყანა, რომელიც შეიფარებდა?

– ნამდვილად მოველოდი, თუმცა მეუბნებოდნენ, რომ, უკრაინის კონსტიტუციიდან გამომდინარე, არ შეიძლება პირის სხვა ქვეყნისთვის გადაცემა, თუ ის არის უკრაინის მოქალაქე, მაგრამ არსებობს კანონიერი გზა, ადამიანს ჩამოერთვას მოქალაქეობა იმის გამო, თუ მან ჩაიდინა თაღლითობა, რაც ამ ეტაპზე დამტკიცდა, რომ სააკაშვილს თაღლითობა ჩაუდენია.

– ახლა მოვისმინე, თურმე სააკაშვილს უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს შეურაცხმყოფელი სიმღერა გაუშვია ერთ-ერთი ტელეარხით, სადაც მას ჰქონდა თავისი საავტორო გადაცემა. შეიძლება სხვა ქვეყანაში მყოფი ადამიანი იმდენად გათავხედდეს, რომ იმ ქვეყნის პრეზიდენტს, რომელმაც შეიფარა და მოქალაქეობა მიანიჭა, საქვეყნოდ შეურაცხყოფა მიაყენოს?

– სააკაშვილს ეს შეუძლია. ის არასოდეს უწევს ანგარიშს რაიმე ეთიკურ და ზნეობრივ ნორმებს ან პირად მეგობრობას, მით უმეტეს, თუ ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურს, ვერაფერი შეაკავებს. კარგად მახსოვს, ედუარდ შევარდნაძე მისი კერპი იყო და ამას საჯაროდ გამოხატავდა. ედუარდ შევარდნაძის მეშვეობით გახდა უმრავლესობის ლიდერი, შევარდნაძემ დანიშნა იუსტიციის მინისტრად. მახსოვს სააკაშვილის გამოსვლა 1999 წელს, ფილარმონიაში, სადაც სმკ-ს ლიდერი სააკაშვილი აცხადებს, რომ ბედნიერია, შევარდნაძის გვერდით რომ დგას და რომ შევარდნაძის სახელი ოქროს ასოებით შევა ისტორიაში.

– რეალურად, შესაძლებელი იყო ან სააკაშვილს თუ სჯეროდა, რომ შესაძლებელი გახლდათ, ის უკრაინის პირველი პირი გამხდარიყო?

– სააკაშვილს ეს სჯერა.

– როგორ, დასაშვები იყო უკრაინაში სააკაშვილის პრეზიდენტობა?

– რა თქმა უნდა. მახსოვს, ჟვანია რომ ეუბნებოდა შევარდნაძეს, სააკაშვილი არის პოლიტიკური კლოუნი, მაგრამ თუ ჩვენ არ ჩავატარებთ რეფორმებს, თუ ვერ მოვთოკავთ კორუფციას, მაშინ სააკაშვილი თავისი ქარიზმატულობით შეიძლება მოევლინოს საქართველოს პრეზიდენტად და დაღუპოს ქვეყანაო, რაც ახდა კიდეც.

– ასეთი აზრი მოვისმინე, რომ შეიძლება ამერიკამ სააკაშვილი (და მისი უმოქალაქეოდ დარჩენა) გამოიყენოს საქართველოს წინააღმდეგ. რამდენად რეალურია ამგვარი რამ?

– არა, ეს არის ფანტაზიები. ამერიკას არავითარი გეგმები არ აქვს სააკაშვილთან დაკავშირებით. სააკაშვილს ამერიკაში არავითარი მხარდაჭერა არ გააჩნია. შეიძლება რამდენიმე ადამიანთან ინარჩუნებს პირად ურთიერთობებს, მაგრამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სენატისა და კონგრესის მხარდაჭერა არ გააჩნია.

ჯერ კიდევ მისი პრეზიდენტობის ბოლო წლებში სააკაშვილს ამერიკელები თავის ტკივილსა და ბუასილს ეძახდნენ, იმიტომ, რომ ყელში ამოუვიდათ, რაც კარგად გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოში. ამერიკელებმა სპეციალურად გამოაგზავნეს კონდოლიზა რაისი და პირობა დაადებინეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ ჩაატარებდა არავითარ სამხედრო ოპერაციას. 2008 წლის აგვისტოში, როცა ყველაფერი მიმდინარეობდა ცხინვალის რეგიონში, მერე დაარეკვინა ეკა ტყეშელაშვილს (თვითონ ვერ გაბედა). მაშინ ჩათვალეს, რომ ეს იყო ღალატი.

– მე მგონი, ეგ იყო მიზეზი იმისა, რომ ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბუშმა აგვისტოს ომის დასაწყის შივე არ გააკეთა განცხადება რუსების აგრესიის წინააღმდეგ მის შესაჩერებლად.

– რა თქმა უნდა. ბუშმა ადრევე გააფრთხილა, მაგრამ ადამიანმა მძინარე ქალაქი დაბომბა.

– ის, რომ სააკაშვილს არ შეეძლო ბრძოლა ბოლომდე და შედეგის მიღწევა, ეს არის ჩვენთვის მთავარი. არ შეეძლო ბრძოლა და ცხინვალში მაინც შევიდა.

– მთავარი ის არის, რომ სააკაშვილს არავითარი საბაბი და მიზეზი არ ჰქონდა, მაგრამ მშვიდობიანი ქალაქის წინააღმდეგ გრადის ტიპის დანადგარები გამოიყენა, რომელიც ზუსტი იარაღი კი არ არის, ფართობებს ფარავს. სააკაშვილმა ასევე გამოიყენა კასეტური ბომბები. ამის გამო ამერიკელებმა განცხადება გააკეთეს. კოლინ პაუელმა განაცხადა, ეს ჭკუანაღრძობმა სააკაშვილმა ჩაიდინაო.

– სააკაშვილი უკრაინაში სწავლობდა, ეფრეიტორი იყო და ეფრეიტორობას ვერ გასცდა, მაგრამ სააკაშვილს ამის გამო უკრაინა თავის სამშობლოდ მიაჩნდა და იქ თავისუფლად გრძნობდა თავს. აფერხებდა თუ არა სააკაშვილი უკრაინა-საქართველოს ნორმალურ ურთიერთობას?

– რა თქმა უნდა, მაგრამ ეს უკვე პოროშენკოს შეცდომა იყო და არა სააკაშვილის. სააკაშვილს ჰქონდა სერიოზული გეგმა უკრაინაში და პირდაპირ აცხადებდა, რომ უნდოდა რეჟიმის შეცვლა.

– ახლაც განაცხადა, მოქალაქეობის ჩამორთმევით ახალი სიცოცხლე შემატეს ჩემს პოლიტიკურ საქმიანობასო.

– ეგ ახლა ყველაფერს იტყვის. მას დილით შეუძლია თქვას, რაც უნდა მოხდეს, ჩავალ საქართველოშიო, საღამოს კი განაცხადოს, საქართველოში ჩამსვლელი არ ვარო.

– შეიძლება გაფრთხილა ვინმემ, საქართველოში ჩასული არ განახოთო?

– არა, პათოლოგიური ლაჩარია, უსაფრთხოების გარანტია თუ არ აქვს, არსად ჩამსვლელი არ არის.

– მოკლედ, ციხეში ყოფნა არ უნდა.

– ციხე არ უნდა და ისედაც მშიშარაა. გორში რომ გაიქცა, მაშინ რაიმე ხდებოდა? სააკაშვილს უკრაინაში ანტიკორუფციული პროპაგანდის აგორების ფონზე უნდოდა, მოსულიყო ხელისუფლებაში. უკრაინაში მართლაც არის დიდი კორუფცია და მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილებაა.

– ისე, იცის სააკაშვილმა, როგორ მიიმხროს ხალხი.

– სააკაშვილი ხედავდა, რომ თავისი საკუთარი რეიტინგი ქვეყნის პრეზიდენტ პოროშენკოსა და პრემიერ იაცენიუკზე მაღალი იყო, ამიტომ მოითხოვდა რიგგარეშე არჩევნებს. მას მიაჩნდა, რომ ამ ტალღაზე, როცა ამხელა რეიტინგი ჰქონდა, შევიდოდა რადაში უმრავლესობით, შემდეგ კი პრეზიდენტიც გახდებოდა და ყველაფერს გააკეთებდა. არჩევნები არ შედგა. ამასობაში სააკაშვილის კლოუნადა უკრაინელებმაც დაინახეს, მიხვდნენ, რომ ამ ადამიანს არაფრის გაკეთება არ შეუძლია, დაინახეს, რომ კაცი 24 საათი პიარით იყო დაკავებული. მისი რეიტინგი დაეცა.

– უკრაინა-საქართველოს ურთიერთობები გაუმჯობესდება?

– რა თქმა უნდა. პოროშენკომ თავის დროზე სააკაშვილი თავისი ინიციატივით დანიშნა. არც ამერიკას და არც არავის მისთვის რეკომენდაცია არ მიუცია. ახლა პოროშენკომ აზრი შეიცვალა. იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში ჩვენი ურთიერთობები განვითარდება.

– სააკაშვილმა სი-ენ-ენ-ს მისცა ინტერვიუ და განაცხადა, ამერიკაში ჩემს ბიძასთან ვარო ანუ კგბ-ს გენერალთან.

– ზუსტად მისი ჩინი არ ვიცი, მაგრამ მაღალჩინოსანი რომ არის, ცხადია.

– როცა სააკაშვილს ჩამოართვეს მოქალაქეობა, რატომღაც გამიჩნდა აზრი, რომ რუსეთი სააკაშვილს რაღაცისთვის ამზადებდა.

– სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია რუსეთის მოქალაქეა. ის რუსეთმა გააგზავნა გაეროში იარაღის სამხედრო შესყიდვების დეპარტამენტში, მაღალ თანამდებობაზე. მაშინ მითხრეს, ხომ იცით, პოლკოვნიკზე ნაკლები ჩინის პირს რომ არ გააგზავნიდნენო. სწორედ ბიძამისი თემურ ალასანია უმტკიცებდა მიხეილ სააკაშვილს 2008 წლის ომამდე, რომ კრემლს ცხინვალი არ აინტერესებდა.

– ე.ი. სააკაშვილის ბიძას თემურ ალასანიას დიდი წვლილი ჰქონდა აგვისტოს ომში.

– დიახ, ეს ცხადია.

– რას უნდა ველოდოთ მომავალში?

– სააკაშვილი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, უკვე დამუშავებულია. ის ვეღარ დაბრუნდება პოლიტიკაში. საქართველოში (ღმერთმა ნუ ქნას) ფინანსურ-ეკონომიკური კოლაფსი რომ მოხდეს, შეიძლება ხელისუფლებაში მოვიდეს ვინმე დემაგოგი და აფერისტი, მაგრამ სააკაშვილი კი არა, სხვა იქნება, რადგან სააკაშვილს უკვე იცნობენ. არა მგონია, უკრაინაში სააკაშვილმა ისევ მოიპოვოს ნდობა.

– სააკაშვილი კიევში რომ ჩავიდეს, ჩაუშვებენ?

– გააჩნია, თუ ვიზა ექნება.

– შეიძლება ვიზა გააკეთოს და ჩავიდეს?

– არ ვიცი. სააკაშვილმა შეიძლება ჰოლანდიის მოქალაქეობა მიიღოს, რადგან მეუღლე ჰოლანდიელია. თავის დროზე სანდრა რულოვსს ორმაგი მოქალაქეობა მიანიჭა, შვილებსაც აქვთ ჰოლანდიის მოქალაქეობა. სააკაშვილმა ყველაფერი გაითვალისწინა.

„თხილის თითო ჰექტარზე 2.000-მდე დოლარის მოგება შეიძლება“

თხილის საერთაშორისო საბჭოს წარმომადგენელი ქართველ ფერმერებს წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას ურჩევს.

ჯუზეპე კალკანი „საქმის კურსთან“ საუბრისას ამბობს, რომ ისეთი მწარმოებელიც, როგორიც მაგალითად თურქეთია, დღესაც ძველ ტექნიკას იყენებს და საქართველოს სწორედ ამიტომ მისთვის კონკურენციის გაწევაც შეუძლია.

– საშუალოვადიან პერიოდში საჭიროა სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც დაეხმარება ფერმერებს, პროდუქცია შეუსაბამონ მსოფლიო სტანდარტებსა და ხარისხს. ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ მთავრობამ დანერგა სტანდარტები, რომლებიც ევროკავშირის შესაბამისია, პრაქტიკულად ესაა საერთაშორისო სტანდარტები. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები, მაგალითად თურქეთი და ესპანეთი, არქაული, ძველი მწარმოებლებიდან თანამედროვე მწარმოებლებად გარდაიქმნებიან.

საქართველოში მნიშვნელოვანია ირიგაციისა და წყლის მიწოდების სისტემების გამართვა, იმისთვის რომ პროდუქციის წარმოება გაორმაგდეს. ფული, რომელსაც მთავრობა ხარჯავს ამ სექტორის მხარდასაჭერად უკან ძალიან მალე დაბრუნდება, – განაცხადა ჯუზეპე კალკანიმ.

თხილის საერთაშორისო საბჭოს წარმომადგენელი ამბობს, რომ დღეს თხილის ერთ-ერთი მსხვილი მომხმარებელი ევროკავშირია, თუმცა უახლოეს 10 წელიწადში ეს შესაძლოა შეიცვალოს და სწორედ ამიტომ ჯუზეპე კალკანი საქართველოს ინდოეთისა და ჩინეთის ბაზარზე აქცენტირებას ურჩევს.

– ევროკავშირი სამეზობლო ქვეყნებს მხარდასაჭერად საკმაოდ დიდ თანხებს აძლევს. მაგრამ დახმარება არ უნდა დარჩეს მხოლოდ დახმარებად, ჩვენ უნდა ვისწავლოთ თევზაობა, იმისთვის, რომ თევზი ყოველდღიურად გვყავდეს.

თხილის კარგ და სწორ კულტივაციას შეუძლია თითო ჰექტარზე 2.000-მდე დოლარის მოგება მოიტანოს, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. მითუმეტეს იმ პერიოდში როდესაც სოფლის მეურნეობის ტრადიციული პროდუქტები აღარაა მდგრადი, მაგალითად, ყურძენი. საქართველოს ბუნებრივად არ აქვს დიდი მიწა, ამიტომ სოფლის მეურნეობაში მიწა სწორად უნდა გამოიყენოთ, – ამბობს ჯუზეპე კალკანი.

ბიზნესმედია

„გირჩმა“ ცესკო-ში 28.000 ხელმოწერა ფაეტონით მიიტანა

ახალმა პოლიტიკურმა ცენტრმა „გირჩმა“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნებში დარეგისტრირების მოთხოვნით მიმართა.

„გირჩმა“ ცესკო-ში ხელმოწერები ფაეტონით მიიტანა. ამასთან, მათი ინფორმაციით, „ბატის ბუმბულით დაწერილი უსტარი“ ცესკომ არ ჩაიბარა.

მათ ცესკო-ში 28.000 მხარდამჭერის ხელმოწერა მიიტანეს და 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე დარეგისტრირების სურვილი გამოთქვეს.

პარტიის ლიდერ ზურაბ ჯაფარიძის განცხადებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „გირჩი“ რეგისტრირებული იყო და მისი რეგისტრაცია პირადი განცხადების საფუძველზე გაუქმდა.

ამიტომ, ჯაფარიძის განმარტებით, პოლიტიკურმა ცენტრმა კანონმდებლობის ყველა წესის დაცვით, 2.000 მხარდამჭერის ხელმოწერის ნაცვლად, 28.000 წარადგინა.

– მიგვაჩნია, რომ მიუხედავად ამისა, ჩვენს გაერთიანებას არ უნდა დასჭირვებოდა 25 000 მხარდამჭერის სიის წარდგენა სარეგისტრაციოდ, ვინაიდან ჩვენ, ამის მიუხედავად, სრულად ვაკმაყოფილებდით კანონის მოთხოვნებს – ვიყავით რეგისტრირებული ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, არც ცესკო-მ და არც სასამართლომ არ გაითვალისწინა ჩვენი ეს მოთხოვნა და იძულებულნი გავხდით, შეგვესრულებინა ცესკო-ს მოთხოვნა არანაკლებ 25.000 მხარდამჭერის ხელმოწერის შეგროვების შესახებ. დღეს ცესკო-ს წარვუდგინეთ 28.000 მხარდამჭერის ხელმოწერილი ფორმა, შევსებულია კანონმდებლობის ყველა წესის დაცვით.

ჩვენ გთხოვთ და ვითხოვთ, დაგვარეგისტრიროთ 2017 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, – აცხადებს ზურაბ ჯაფარიძე.

მედიანიუსი

აფხაზეთის ოფისები თურქეთსა და ვენესუელაში დაიხურა

ერთობლივი საკოორდინაციო ცენტრი ისევ დავის საგანია

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმს თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად გამოცხადებული აქვს აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება უცხოეთში. ამისათვის დაგეგმილი იყო აფხაზეთის წარმომადგენლობების, ფაქტობრივი საელჩოების მომრავლება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

ახლა ირკვევა, რომ აფხაზეთის წარმომადგენლობები იქაც დაიხურა, სადაც ფუნქციონირებდა.

დიდი ალბათობით, ამაზე იმოქმედა აშშ-ის კონგრესისა და პრეზიდენტის ერთობლივმა გადაწყვეტილებამ, შეუწყვიტონ დახმარება იმ სახელმწიფოებს, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ არაღიარების პრინციპს დაარღვევენ. სავარაუდოდ, აფხაზეთის წარმომადგენლობები ამ ქვეყნების მოთხოვნით დახურეს.

აფხაზეთში ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს, კომენტარებში კი სხვა მიზეზი სახელდება.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ამჟამად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ვიაჩესლავ ჩირიკბა წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ აფხაზეთის პრეზიდენტის განკარგულებით ლიკვიდირებულია აფხაზეთის რესპუბლიკის ოფისი თურქეთის დედაქალაქში. ასევე შეწყვიტა საქმიანობა აფხაზეთის საელჩომ ვენესუელაში, საიდანაც ორი ახალგაზრდა და პერსპექტიული დიპლომატი დაბრუნდა.

მისი თქმით, ეს ოფისები დაუფინანსებლობის გამო დაიხურა. ამავე მიზეზით გადადგა სხვა თანამდებობის პირი – პრეზიდენტის რწმუნებული ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში დიმიტრი მარშანი.

– ეს არის ხელისუფლების მხრიდან მორიგი და აშკარა დემონსტრირება იმისა, რომ მას არ ესმის სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი ინსტიტუტების ფუნქციონირების აუცილებლობა, – აღნიშნავს ჩირიკბა.

სახელმწიფოდ, რომელმაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, რუსეთი რჩება. აფხაზეთში ამაზეც ეჭვი გამოითქმის. ანტირუსულ გამოსვლებს ვერავინ ბედავს, მაგრამ გაისმის ფრთხილი მოთხოვნა, რომ რუსეთმა გარკვეულ საკითხებში ანგარიში უნდა გაუწიოს აფხაზეთს, მის დამოუკიდებლობას და დაიცვას თანასწორობა.

რუსეთთან ისევ სადავოა ერთობლივი ორმხრივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრი. შესაბამისი შეთანხმების რატიფიკაცია ამ დღეებში მოხდა, თუმცა აფხაზეთის პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატები იმედოვნებენ, რომ მასში შესწორებებს შეიტანენ.

შეთანხმების რატიფიკაციას მხარი დაუჭირა 23-მა წევრმა, 9-მ წინააღმდეგ მისცა ხმა, 2-მა თავი შეიკავა.

ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრი საზოგადოების მღელვარებასაც იწვევს. კენჭისყრის დღეს პარლამენტთან ხალხის ჯგუფიც იყო შეკრებილი.

ოფიციალური განმარტებებით, ცენტრის მიზანია, მონაცემების ურთიერთგაცვლა, ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და კოორდინაცია რუსეთისა და აფხაზეთის შინაგან საქმეთა ორგანოებს შორის.

აფხაზეთში ბევრი მიიჩნევს, რომ ცენტრის საქმიანობა შელახავს აფხაზეთის დამოუკიდებლობას და დაარღვევს მხარეებს შორის პარიტეტს. დეპუტატების აზრით, მასში დამატებებია შესატანი. მაგალითად, პარლამენტს უნდა მიეცეს ამ ცენტრის ინფორმაციებზე წვდომის უფლება, ცენტრმა აფხაზეთის ტერიტორიაზე თავისი საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიში უნდა ჩააბაროს საკანონმდებლო ორგანოს.

ამ შეთანხმების თავდაპირველი ვარიანტი უფრო მიუღებელი იყო. საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრს ბევრად ფართო უფლებამოსილებები უნდა ჰქონოდა, მისი შემადგენლობა კი 400-კაციანი უნდა ყოფილიყო. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ცენტრში 20 სამართალდამცავი შევა.

თანხმობა ამ საკითხზე ისევ არ არსებობს. ალბათ, ამ თემაზე მომავალში საპროტესტო გამოსვლებიც იქნება, მით უმეტეს, რომ ცენტრს ქონების ფლობისა და განკარგვის უფლებაც მისცეს.

„ამერიკის მხარდაჭერა იქითკენ არის მიმართული, რომ რუსეთმა თავი დაგვანებოს“

თორნიკე შარაშენიძე: „მარტო ამერიკა რას იზამს, ჩვენც თუ არ ამოვიღეთ ხმა?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

– ამბობენ, რომ ამერიკის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტი საქართველომ სერიოზულ მხარდაჭერად უნდა აღიქვას. რას მოგვიტანს ეს მხარდაჭერა?

– ამერიკა არის ერთადერთი ქვეყანა, რომლისაც რუსეთს ეშინია. რუსეთი ყოველთვის იხევს უკან, როდესაც გრძნობს მასზე ძლიერ ძალას. ამიტომაც ამერიკის მხარდაჭერა სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ რუსეთმა თავი უნდა დაგვანებოს.

– ზოგი იმასაც ამბობს, რომ ამერიკა გვიყენებს რუსეთის წინააღმდეგ. ამაზე რას იტყვით?

– ჩვენთან დღეს აქტიურად მუშაობს რუსული პროპაგანდა, რომ, არიქა, ამერიკა აპირებს გამოიყენოს ჩვენი ტერიტორია რუსეთის წინააღმდეგ ბაზებად, რუსეთს უნდა დაესხას აქედან თავს. ეს ხომ ჩვეულებრივი იდიოტიზმია! სამწუხაროდ, ვიღაცებს სჯერათ ამ იდიოტიზმის.

– ოპოზიციური პარტიები ასევე აქტიურად საუბრობენ იმის თაობაზე, რომ აუცილებლად დადგება ნატოს გაფართოების საკითხი და რუსეთი ამაში ხელს ვერ შეგვიშლის. არის იმის მოლოდინი, რომ გააქტიურდეს ნატოს თემა?

– არა, ასე მარტივად ნატოს გაფართოების თემა ვერ გააქტიურდება. ეს საკითხი გაყინულია და მათ შორის რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამო. ეს არის ფაქტი, რომელიც ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნატოს არა აქვს საშუალება, მით უმეტეს ამერიკას, რომ ჩვენ დაგვიცვას! სხვა თუ არაფერი, თუნდაც იმავე სამხედრო წვრთნების მეშვეობით.

– ხელისუფლებაც აცხადებს, რომ ეს წვრთნები არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული. თუმცა ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ, რომ როგორც ხარს აუფრიალო წითელი ნაჭერი, სწორედ ასეა ეს წვრთნები რუსეთისთვისო. რამდენად არის ეს მართლაც პროვოკაციული ქმედება ჩვენი მხრიდან და რამდენად აღიზიანებს ეს რუსულ მხარეს?

– რომ არ ვუფრიალებდით, რა, მაშინ არ სწევდა საოკუპაციო ხაზს?! რა, რომ ჩავედით სოჭის ოლიმპიადაზე, არ დაიწყო იმ დღესვე საოკუპაციო ხაზის გადმოწევა?! ამ მთავრობამ რომ გამოუშვა რუსი შპიონები, რომ ჩართო რუსული ტელეარხები, რა, გააჩერეს საოკუპაციო ხაზის გადმოწევა?! გვითხრან, რა დავუთმოთ კიდევ?! იქნებ მათ აქვთ რაიმე რეცეპტი, რა უნდა დავუთმოთ საიმისოდ, რომ გაჩერდნენ?! ფაქტია, რომ ჩვენი მხრიდან არგაღიზიანების პოლიტიკამ ამოწურა თავისი თავი! უნდა დამთავრდეს ამაზე ლაპარაკი, რომ ვაიმე არ გავაღიზიანოთ, ვაიმე არ გავაღიზიანოთ! მარტო იმათ აქვთ გაღიზიანების უფლება და ჩვენ არ გვაქვს?!

– შეშინებულის პოზიციის მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეს ხელისუფლებაო. თქვენც იზიარებთ ამას?

– ერთია, რომ ჩვენი ხელისუფლება არ ლანძღავს საჯაროდ და ეუბნება, რომ შენთან მეგობრობა მინდა. კი ბატონო, არ არის მისი საჯაროდ ლანძღვა აუცილებელი, რასაც, სამწუხაროდ, სააკაშვილი აკეთებდა. თუმცა არც ეს სირაქლემის პოზიცია ვარგა.

– რაღაც შუალედი უნდა მოიძებნოს?

– არ შეიძლება ორი უკიდურესობა, ერთი ლანძღო 24 საათის განმავლობაში, ან მეორე – შენი ჭირიმე, არაფერს არ ვაშავებ, აი, ვიმალები და ვძვრები ქვიშაში. არცერთი მიდგომა არ ვარგა. უნდა მოიძებნოს ურთიერთობის სხვა გზა, სხვა საშუალება. „ღირსეული პარტნიორი“ სწორედ განაცხადია იმის, რომ ჩვენ მარტო არ ვართ!

– ანუ ეს მაინც მიმართულია ოკუპანტისკენ, რომ ჩვენ მხარს გვიჭერს ამერიკა?

– სწორედ ასეა. ჩვენ მარტო არ ვართ, გვყავს ძლიერი მოკავშირე და ეს უნდა იცოდეს რუსეთმა.

– 2008-შიც ასე იყო. ამბობენ, რომ სააკაშვილი სწორედ ამერიკის მხარდაჭერის იმედად იყო და ამიტომ წამოეგო ამ პროვოკაციას. ამაზე რას იტყვით?

– ეს არის სისულელე, რომელსაც ავრცელებს რუსული პროპაგანდა. ამერიკა ყოველთვის გვაფრთხილებდა, რომ არ ავყოლოდით პროვოკაციას! ეს ასჯერ აქვს ნათქვამი როგორც საჯაროდ, ისე არასაჯაროდ. ეს არის სისულელე, რომ სააკაშვილმა ომი დაიწყო და ამერიკაც აპირებდა შემოსვლას. ეს თავიდან ბოლომდე დიდი ტყუილია.

– როგორი იქნება ამერიკის გააქტიურებისა და კერძოდ ამ ვიზიტის შედეგები? შეაშინებს ეს რუსეთს? შეაჩერებს საოკუპაციო ხაზის გადმოწევას?

– ვნახოთ, ეს გამოჩნდება. ამისთვის ჩვენი გააქტიურებაც არის საჭირო. მადლობა ღმერთს, რომ საოკუპაციო ხაზთან გამოჩნდნენ სამოქალაქო აქტივისტები. ძლივს დაიწყო მორიგეობა, რომ რუსეთს ასეთი კომფორტი აღარ ჰქონდეს, რომ როცა გვინდა, გადმოვწევთ და ხმის ამომღები არავინ არის. თუ დაინახავენ, რომ ხმის ამომღები ვიღაც არის, მერე გაჩერდებიან. მარტო ამერიკა რას იზამს, ჩვენც თუ არ ამოვიღეთ ხმა?! ხომ ყველამ ვნახეთ, ამერიკის ელჩი საოკუპაციო ხაზთან მივიდა მას შემდეგ, რაც იქ მივიდნენ ქართველები, ჩვენი აქტივისტები. მანამდე ვერ მიდიოდნენ. შენ თუ არ გამოჩნდები, ის ხომ არ გაიქცევა შენ მაგივრად?! ხომ უნდა დაინახოს, რომ შენც გინდა შენი საქმის გამო ხელის განძრევა. როგორც კი დაინახა, რომ ჩვენ ხელი გავანძრიეთ, მაშინვე მივიდა.

– ხელისუფლება რატომღაც მაინც თავს იკავებს ამ აქტიურობისგან, მოუწოდებს სამოქალაქო საზოგადოებას, რომ საოკუპაციო ხაზთან მათი ყოფნა სახიფათო და ასევე გამაღიზიანებელი ფაქტორია რუსეთისთვის.

– როდემდე შეიძლება ვიყოთ ამ პოზაში? ვაიმე, რუსეთი არ გაღიზიანდეს. რომ გაღიზიანდება, მერე რას იზამს, საინტერესო სწორედ ეს არის. ამაზე მეტი რა უნდა ქნას?! ყოველდღე მოიწევს აქეთ და ამაზე მეტს რაღას იზამს, ძალიან მაინტერესებს.

სამეგრელოს 7 ახალი მილიონერი ჰყავს

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისა და განვითარების პროექტის განხორციელებისთვის სახელმწიფოს მიერ კერძო მესაკუთრეებისგან გამოსყიდული ქონების სანაცვლოდ გადახდილმა კომპენსაციამ 49.604.542 ლარი შეადგინა.

„საქმის კურსის“ მიერ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის იანვრიდან 28 ივლისის მდგომარეობით, ჯამში, გაფორმებულია 367 ხელშეკრულება.

– გამოსყიდულია დაახლოებით 63.5 ჰა მიწის ნაკეთი, 42 სახლი და 2 ნანგრევი. სააგენტოს მიერ მოქალაქეებისთვის (270 ფიზიკური პირი/ოჯახი) გადახდილი თანხა შეადგენს 49.604.542.12 ლარს, – ნათქვამია ოფიციალურ წერილში.

გარდა ამისა, „საქმის კურსი“ დაინტერესდა, სახელმწიფოს მხრიდან უკვე გამოსყიდული ქონების მიხედვით, რამდენი ადგილობრივის ქონების ღირებულება (მიწა და სახლი) შეადგენდა 1 მლნ ლარს და მეტს, რაზეც სააგენტოსგან შემდეგი პასუხი მიიღო:

– დღეის მდგომარეობით, სააგენტო ფლობს ინფორმაციას 7 შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც ერთ მესაკუთრეზე/თანამესაკუთრეზე კომპენსირებულმა ჯამურმა თანხამ შეადგინა 1 მლნ ლარი ან მეტი.



ცნობისთვის: დღეის მდგომარეობით, 367 ოჯახიდან შეთავაზებულ კომპენსაციაზე უარი მხოლოდ 9 ოჯახმა განაცხადა. ქონების სააგენტო აგრძელებს დარჩენილი მიწის ნაკვეთების გამოსყიდვას, რომელიც უნდა განხორციელდეს უშუალოდ პროექტის არეალში არსებული უძრავი ქონებებისთვის 1 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო მიმდებარე ქონებებისთვის – 15 სექტემბრის ჩათვლით.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისთვის ანაკლიის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაციისთვის 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 96 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

შეგახსენებთ, ანაკლიის პორტი აშენდება 9 ფაზად და საბოლოო ჯამში, მიაღწევს წელიწადში 100 მლნ ტონის გამტარუნარიანობას. მშენებლობის პირველ ფაზაზე დაახლოებით, 568 მილიონის, ხოლო საბოლოო ჯამში, დაახლოებით, 2.5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია განხორციელდება.

ბიზნესმედია

ბაზრებსა და ბაზროობებზე 1 დღეში 45,3 ათასი კაცი ვაჭრობს

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული 211 ეკონომიკური სუბიექტი, რომელთა 29,4% ქალაქ თბილისშია განთავსებული, 21,8% – იმერეთში, 12,3% – სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 11,4% – კახეთის რეგიონში, 8,1% – ქვემო ქართლში, 5,2% – აჭარაში, 4,3% – შიდა ქართლში, 2,8% – სამცხე-ჯავახეთში, 1,9% – გურიაში, 1,9% – მცხეთა-მთიანეთში და 0,9% – რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონში.

ამასთან, სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის წილად მოდის 2016 წელს მოქმედი ბაზრობების საერთო რაოდენობის 77,3%, ინდივიდუალური მეწარმეების წილად კი – 20,4%.

ბაზრობების დანარჩენ ნაწილს გააჩნია კოოპერატივის (0,9%), სააქციო საზოგადოების (0,9%) და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (0,5%) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

ბაზრობების 95,7% კერძო საკუთრებაშია, ხოლო 4,3% – სახელმწიფო საკუთრებაში.

2016 წელს საქართველოში მოქმედი ბაზრები, ბაზრობები და ბაზრობის ტიპის საწარმოები განთავსებული იყო 2,0 მლნ. კვადრატულ მეტრ ფართობზე. ამ ტერიტორიაზე განლაგებული დახლების სიგრძე 55,4 ათასი მეტრია, რომელთა 66,7% შენობაშია განთავსებული. ბაზრობებს გააჩნია 80 ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორია, 1.673 შემნახველი საკანი (საწყობი) 30,0 ათასი კვ. მეტრი ფართობით, 0,8 ათასი ტონის ტევადობის 353 მაცივარი.

2016 წელს ბაზრობების ორგანიზებით დაკავებულ საწარმოებში (ბაზრობების დირექციებში) დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 3,2 ათას კაცს შეადგენდა, რომელთაგან 33,9% ქალია.

დასაქმებულთა 44,7% ქალაქ თბილისზე მოდის, დანარჩენი სხვა რეგიონებზე ნაწილდება. „საქსტატის“ ცნობით, საქართველოში მოქმედი ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე 59,9 ათასი სავაჭრო ადგილია, სადაც საშუალოდ ერთ დღეში 45,3 ათასი კაცი ვაჭრობს.

როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, საქართველოს ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ვაჭრობა კვირის სხვადასხვა დღეს არის ორგანიზებული: ყოველდღიური ვაჭრობა 169 ბაზარში, საკვირაო ვაჭრობა 20 ბაზარში მიმდინარეობს, კვირა დღის გარდა ვაჭრობს 3 ბაზარი, ერთ-ერთი ბაზრის ტერიტორიაზე ვაჭრობა მიმდინარეობს მხოლოდ შაბათს და კვირას, დანარჩენი ბაზრობის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ერთდღიანი, ორი ან სამდღიანი ვაჭრობა კვირის სხვადასხვა დღეებში.

* * *

2016 წელს ბაზრების, ბაზრობების და ბაზრობის ტიპის საწარმოების შემოსავლებმა 144,3 მლნ ლარი შეადგინა.

ბაზრობების ტერიტორიაზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ვაჭრობის უფლებისათვის (ერთჯერადი გადასახდელის სახით) გადახდილია 53,3 მლნ. ლარი, რაც ბაზრობების დირექციების შემოსავლების 36,9%-ს შეადგენს.

57,2%-ს შეადგენს შემოსავლები სავაჭრო ფართის გაქირავებიდან, ხოლო 5,8% სხვა სახის შემოსავლებს მიეკუთვნება.

2016 წელს ბაზრობის ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების დანახარჯებმა 98,2 მლნ. ლარი შეადგინა, აქედან შრომის ანაზღაურებამ დასაქმებულ პერსონალზე – 27,3 მლნ. ლარი.

კომერსანტი

ივნისში ბოსტნეულსა და ხილზე ფასებმა მოიმატა

წინა წლის ივნისთან შედარებით, 2017 წლის ივნისში ბოსტნეულსა და ხილზე, საერთო ჯამში, ფასებმა საგრძნობლად იმატა.

ამის შესახებ ნათქვამია ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ივნისის „თვის მიმოხილვაში“.

მიმოხილვის თანახმად, 2017 წლის ივნისში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ინფლაციამ 7.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით ფასების საერთო დონემ 0.4 პროცენტით დაიკლო.

როგორც „თვის მიმოხილვაშია“ აღნიშნული, წლიურად ფასების მატება უმთავრესად თამბაქოსა და საწვავზე აქციზის მატებით და ასევე, ნავთობის მსოფლიო ფასების გაძვირებით არის გამოწვეული.

წლიური ინფლაციიდან 2.6 პროცენტული პუნქტი (პ.პ) ამ პროდუქტების გაძვირებაზე მოდის, 2.7 პ.პ – სურსათის, ხოლო 1.8 პ.პ – დანარჩენი პროდუქტების გაძვირებაზე.

ივნისში, წინა წლის ივნისთან შედარებით, ბოსტნეულსა და ხილზე საერთო ჯამში ფასებმა საგრძნობლად იმატა. თითქმის 34 პროცენტით გაძვირდა „ბოსტნეულის“, ხოლო 16 პროცენტით „ხილის“ ქვეჯგუფში შემავალი პროდუქტების ფასები. თითქმის 10 პროცენტით მოიმატა ფასებმა ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, ხოლო წვლილმა მთლიან ინფლაციაში 0.6 პ.პ შეადგინა.

როგორც მიმოხილვაშია ნათქვამია, ეს ფაქტი შეიძლება უკავშირდებოდეს ამ პროდუქტების ექსპორტის ზრდას და ამის შედეგად, ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების გარკვეულ შესუსტებას.

„რძე, ყველი და კვერცხის“ ქვეჯგუფის ფასებმა 11 პროცენტით მოიმატა, რაც საერთო ინფლაციაში 0.5 პ.პ-იანი წვლილის ტოლია. წინა პერიოდებთან შედარებით კლებულობს, თუმცა ჯერ ისევ მაღალია შაქრის შემცველ პროდუქტებზე ფასების მატება (10.4 პროცენტი; 0.2 პ.პ წვლილი ინფლაციაში).

დანარჩენი პროდუქტებიდან აღსანიშნავია სისხლძარღვთა გამაფართოებელი და საჭმლის მომნელებელი სისტემის მედიკამენტებზე ფასები მატება შესაბამისად 34 და 28 პროცენტით. ამ ორი მედიკამენტის წვლილი საერთო ინფლაციაში 0.4 პ.პ-ს შეადგენდა.

საწვავზე და სურსათზე შედარებით მაღალი ფასების გამო საბაზო ინფლაციის დონე საერთო ინფლაციასთან შედარებით დაბალია და 4.5 პროცენტს შეადგენს.

– მთლიანი ინფლაციის მატება განსაკუთრებით იმპორტირებულ საქონელზე აისახებოდა და ივნისში 9.8 პროცენტს შეადგენდა. ამის მიზეზი პირველ რიგში კვლავ საწვავისა და სიგარეტის გაძვირებაა. შედარებით დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდება შერეული და ადგილობრივი პროდუქტების ინფლაცია. ივნისში მათი დონე შესაბამისად 8.7 და 5.1 პროცენტით განისაზღვრა. ფასები ვაჭრობად საქონელზე 9.3 პროცენტით, ხოლო არავაჭრობადზე 4 პროცენტით გაიზარდა, – ნათქვამია მიმოხილვაში.

2017 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით, ხანმოკლე მოხმარების საქონელზე ფასები 0.7 პროცენტით, საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელზე 0.1 პროცენტით, ხოლო ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე 1 პროცენტით შემცირდა, ხოლო მომსახურებაზე ფასები 0.2 პროცენტით გაიზარდა.

წლიური მაჩვენებლების მიხედვით ხანმოკლე მოხმარების საქონელზე ფასები 11.2, საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელზე 1.2, ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე 1.3, ხოლო მომსახურებაზე 2.7 პროცენტით გაიზარდა.

ბიპიენი

ირანის სავაჭრო პალატა მიწის გასხვისებაზე საქართველოს მთავრობას რეკომენდაციით მიმართავს

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების უცხოელებზე გასხვისების საკითხზე „კომერსანტთან“ ირანის სავაჭრო პალატის გენერალური დირექტორი რაჰიმ აბაჩი საუბრობს. მისი განცხადებით, თუ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებზე გასხვისება კანონით აიკრძალა, ეს ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლას ხელს შეუშლის.

მისი მტკიცებით, კარგი იქნება, თუ კანონში ჩაიწერება გამონაკლისი შემთხვევები. კერძოდ, მიწა გასხვისდეს იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი მსხვილი ინვესტიციის ვალდებულებას აიღებს.

აბაჩის განმარტებით, საქართველოში აღნიშნული კანონის მიღება იმიტომ უნდათ, რომ აქ მიწა ძალიან ბევრ ადამიანს დაუმუშავებელი აქვს.

– თუ ვინმე მილიონობით ფულს დებს და მის საკუთრებაში არ არის ქონება, ცუდია. გრძელვადიანი იჯარა არ არის საკუთრება, – აცხადებს აბაჩი.

როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები უცხოელებზე არ იყიდება. კონსტიტუციაში ცვლილებების მიღებამდე კი მიწების არარეზიდენტ პირებზე გასხვისებაზე მორატორიუმია გამოცხადებული.

– საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირზე, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ გრძელვადიანი იჯარით მნიშვნელოვან შემთხვევებში, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

კონსტიტუციის ცვლილებების პროექტის მე-19 მუხლში კი, სადაც საკუთრების უფლებაა გაწერილი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არ ფიგურირებს.

აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტში წერია, რომ: „მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით – აღნიშნულია ცვლილებების პაკეტში.

როგორც ცნობილია, კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტი პარლამენტმა ორი მოსმენით მიიღო. მესამე მოსმენა საშემოდგომო სესიებზე იგეგმება.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტი

ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები 2 მლრდ 956 მლნ დოლარამდე გაიზარდა

2017 წლის ივნისში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 130.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 2 მლრდ 956 მლნ დოლარი შეადგინა.

როგორც ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული „ივნისის თვის მიმოხილვაშია“ აღნიშნული, საანგარიშო თვეში რეზერვების მატება დიდწილად სავალუტო ინტერვენციების შედეგია, სადაც ეროვნულმა ბანკმა 70 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა.

– გარდა ამისა, ივნისში ჩაირიცხა მსოფლიო ბანკის ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხი 53 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, – წერია მიმოხილვაში.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო: „საბჭოს სხდომის ვიდეოჩანაწერის განადგურებისა და გაყალბების ინფორმაცია სწორი არ არის“

იუსტიციის უმაღლესი საბჭო თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიასა და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიების გაერთიანების, ასევე, სხდომის ოქმის შესახებ განცხადებას ავრცელებს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრის შეფასება, საბჭოს სხდომის ვიდეო ჩანაწერის განადგურებისა და ვიდეო ჩანაწერის გაყალბების შესახებ, მოკლებულია ყოველგვარ ობიექტურ საფუძველს და არ შეესაბამება სინამდვილეს.

– საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის 2017 წლის 17 ივლისისა და ასევე, 24 ივლისის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ვასილ მშვენიერაძის მიერ ინიცირებული საკითხი ამ სასამართლოს კოლეგიების ფორმირების თაობაზე.

მომხსენებელმა საბჭოს წარუდგინა ინფორმაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიასა და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში საქმეთა ნაკადის კუთხით არსებული რთული მდგომარეობის შესახებ. სისხლის სამართლის კოლეგიაში განსახილველ საქმეთა სიჭარბისა და მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობის გათვალისწინებით,

სასამართლოს თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებულ იქნა წინადადება აღნიშნული კოლეგიების გაერთიანებების თაობაზე. საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი წინადადება მხარდაჭერილ იქნა. საბჭოს წევრმა ვახტანგ მჭედლიშვილმა აღნიშნული საკითხის დასაბუთებისათვის წარმოადგინა, ჯერ კიდევ საბჭოს წინა შემადგენლობის ფორმატში დაყენებული რეკომენდაცია – საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიისა და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის გაერთიანების მიზანშეწონილობის თაობაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია შექმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები, საბჭოს გადაწყვეტილებით განხორციელდა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიისა და საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიების შერწყმა და ახალი კოლეგიის – სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითად განხილვის კოლეგიის შექმნა.

მიღებულმა გადაწყვეტილებამ სამართლებრივად დღის წესრიგში დააყენა აღნიშნული კოლეგიების თავმჯდომარეთა უფლებამოსილების შეწყვეტისა და ახალი თავმჯდომარის უფლებამოსილების საკითხის განხილვა.

შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა და საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიების რეორგანიზაციის სამართლებრივი ფორმიდან (კოლეგიების შერწყმა) გამომდინარე, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, განხორციელდა მოქმედი კოლეგიების თავმჯდომარეთა უფლებამოსილების შეწყვეტა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიების რეორგანიზაციამ განაპირობა შემდეგი თანმდევი გადაწყვეტილებების მიღება: ახალ კოლეგიაში მოსამართლეთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრა, ახალ კოლეგიაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის დადგენა და აპარატის საშტატო ნუსხაში ცვლილებების განხორციელება. აღნიშნულ გადაწყვეტილებათა შესაბამისი პროექტები საბჭოს წარედგინა სხდომაზევე, საკითხის განხილვის პროცესში.

საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად, წარმოებდა აღნიშნული სხდომის აუდიო/ვიდეო ჩაწერა, სხდომა მიმდინარეობდა ღია ფორმატში და მას ესწრებოდნენ საბჭოს საქმიანობის მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციები. ამავდროულად, საბჭოს სხდომა პირდაპირ რეჟიმში გადაიცემოდა საერთო სასამართლოების შიდა ქსელითა და საბჭოს ჰოლში დამონტაჟებულ მონიტორზე, იქ მყოფი მასმედიის წარმომადგენლებისათვის. სხდომის მიმდინარეობისას, გამოვლინდა ქსელის შეფერხება, რის თაობაზეც ინფორმაცია წარდგენილ იქნა საბჭოს სხდომაზე.

აღნიშნული შეფერხება სავარაუდოდ გამოიწვია სხდომის „ტრანსლირების სერვერზე“ საერთო სასამართლოებიდან დიდი რაოდენობის მომხმარებელთა დაკავშირებამ. „სერვერზე“ შეფერხების გამო, დაახლოებით 14:00 საათიდან, მას შემდეგ რაც გამოცხადდა სხდომაზე შესვენება, ვერ მოხერხდა დღის წესრიგით გათვალისწინებული 16 საკითხიდან 12 საკითხის ჩაწერა.

სპეციალისტების დახმარებით, საბჭოს „სერვერზე“ აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მეორე დღეს – 25 ივლისს. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, რომ მისი ერთ-ერთი წევრის შეფასება, საბჭოს სხდომის ვიდეო ჩანაწერის განადგურებისა და ვიდეო ჩანაწერის გაყალბების შესახებ, მოკლებულია ყოველგვარ ობიექტურ საფუძველს და არ შეესაბამება სინამდვილეს, – ნათქვამია განცხადებაში.

„საფინანსო კომპანია საქართველოს“ ხელმძღვანელ პირებს 10 და 7-წლიანი პატიმრობა შეეფარდათ

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მოქალაქეთა კუთვნილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვისთვის შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ ხელმძღვანელი პირები – თ.ლ., თ.მ. და მ.ფ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და 25,182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2013-2016 წლებში, შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ დირექტორმა თ.ლ.-მ, საზოგადოების დამფუძნებლის – თ.მ.-სა და კომპანიის ფაქტობრივი მმართველის – მ.ფ.-ს წაქეზებით, ყოველგვარი უზრუნველყოფისა და ეკონომიკური გათვლების გარეშე, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გაფლანგა 2343 მოქალაქისგან სესხის სახით აღებული ათეულობით მილიონი ლარი.

სასამართლომ სამივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად მ.ფ.-ს განუსაზღვრა 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, თ.ლ.-ს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, ხოლო თ.მ.-ს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. აგრეთვე დამატებითი სასჯელის სახედ სამივე მსჯავრდებულს განესაზღვრათ თანამდებობის დაკავებისა და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

ოზურგეთში დაკარგული 31 წლის გია ხვედელიძის გვამი ზღვამ გონიოს სანაპიროზე გამორიყა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში დაკარგული 31 წლის მამაკაცის გვამი ზღვამ გონიოს სანაპიროზე გამორიყა.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, გარდაცვლილს ძალადობის ნიშნები არ აღენიშნება.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით მამაკაცი სახლიდან 3 დღის წინ გავიდა და ამ დრომდე მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. გია ხვედელიძე სოფელში დედ-მამასთან და ძმასთან ერთად ცხოვრობდა.

გია ხვედელიძის ოჯახმა მიმართა ურეკის პოლიციას, ოჯახი თქმით მიმდინარეობდა საძიებო ღონისძიებები. გარდაცვლილი საკუთარ საცხოვრებელ სახლში 30 ივლისს ღამით მიასვენეს.

ოქროს ნაკეთობები და ფსიქოტროპული-ნარკოტიკული პრეპარატები

საბაჟო-გამშვებ პუნქტებში „წითელი ხიდი“ და „ყაზბეგი“ ოქროს ნაკეთობების ქვეყანაში კანონდარღვევით შემოტანის რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 20 ივლისს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები (საერთო წონა 352.26 გრამი) საბაჟო გამშვებ პუნქტში

„წითელი ხიდი“ აღმოაჩინეს. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 19,633.62 ლარი შეადგინა. საქმე შემდგომი რეაგირებისთვის, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები (საერთო წონა 198.02 გრამი) გამოვლინდა 22-26 ივლისს, საბაჟო-გამშვებ პუნქტებში „ყაზბეგი“ და „წითელი ხიდი“. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ, ჯამში, 11.727.72 ლარი შეადგინა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეებს, სანქციის სახით, შეეფარდათ ფულადი ჯარიმა, საერთო ჯამში, 11.727.72 ლარის ოდენობით.

* * *

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ბათუმის აეროპორტსა და ვალეში ფსიქოტროპული და ნარკოტიკული პრეპარატები აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 20-27 ივლისს, საქართველოს საბაჟო გამშვებ პუნქტებში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი სამედიცინო პრეპარატების ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანის რამდენიმე ფაქტი აღიკვეთა. კერძოდ, 20 ივლისს სგპ „ვალეს“ ტერიტორიაზე, თურქეთიდან შემომავალ თურქეთის მოქალაქე მ.ფ-ს ხელბარგში აღმოუჩინეს ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 25 ივლისს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „ბათუმის აეროპორტი“ ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები (შოლპადეინე – 48 აბი) შარჟა-ბათუმის მგზავრის, კუვეიტის მოქალაქის, ნ.ა-ს ბარგში იპოვეს. ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტების საქართველოში კანონდარღვევით შემოტანის კიდევ ერთი ფაქტი.

სგპ „ბათუმის აეროპორტში“, 27 ივლისს პრეპარატები -120 მგ. ფსევდოეფედრინის შემცველობის მქონე LORINASE – 14 აბი, (8 მგ.) და კოდეინის შემცველობის მქონე SOLPADEINE – 24 აბი – დუბაი-ბათუმის მგზავრს, საუდის არაბეთის მოქალაქეს ა.ა.მ-ს აღმოაჩნდა.

მოქალაქეებმა ვერ წარმოადგინეს ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერების ინდივიდუალური საჭიროებისთვის საქართველოში შემოსატანად (საქართველოს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 01-32/ნ ბრძანებით) განსაზღვრული დოკუმენტები. შესაბამისად, საქმის მასალები, შემდგომი გამოძიების მიზნით, გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

თბილისსა და რუსთავში ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 3 პირი დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, 1974 წელს დაბადებული გ.რ. და 1974 წელს დაბადებული ტ.მ. თბილისში, ხოლო 1969 წელს დაბადებული დ.მ. რუსთავში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები „ქურდულ სამყაროს“ აღიარებენ. ისინი, „ქურდულ სამყაროში“ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად, მონაწილეობდნენ „ქურდულ გარჩევებში“ და აქტიური კავშირი ჰქონდათ უცხოეთში მყოფ „ქურდული სამყაროს“ წევრებთან.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, უცხოეთში მყოფი ე.წ. „კანონიერი ქურდის“ დავალებით, რუსთავში მცხოვრებ ერთ-ერთ მოქალაქეს თანხა გამოსძალეს. სამართალდამცველებმა 3.500 ლარი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით).

გურჯაანში მამაკაცის დასახიჩრებული ცხედარი იპოვეს

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩ-

ნაძიანში 70 წლის მამაკაცი ოჯახის წევრებმა ქოხში გარდაცვლილი იპოვეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, მამაკაცის ცხედარი დასახიჩრებულია.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს განუცხადეს, გარდაცვალების ზუსტ მიზეზებს ექსპერტიზა დაადგენს, ხოლო მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

სოფელ ცაცხვში მატარებელი მამაკაცს დაეჯახა

ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაცხვში სამგზავრო მატარებელი 75 წლის მამაკაცს დაეჯახა.

დაზარალებული საავადმყოფოშია გადაყვანილი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლით აღიძრა რაც, რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ციანიდის საქმეზე დღეს ირაკლი ფირცხალავა დაიკითხება

ციანიდის საქმეზე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ირაკლი ფირცხალავა დაიკითხება. საქმე ეხება ფირცხალავას განცხადებას, რომლის თანახმად, „ციანიდის საქმის“ მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე შსს-ს აგენტი იყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბრალდებულ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განუცხადა, დღესვე ბრალდების მხარის მტკიცებულებებს განიხილავენ, კერძოდ, აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს.

ციანიდის საქმეზე სასამართლო პროცესი საქალაქო სასამართლოში 1 აგვისტოს, 11:00 საათზეა ჩანიშნული.

სისხლიანი ტრაგედია ლოს ანჟელესში



ლოს ანჟელესში სისხლიანი ტრაგედია მოხდა. ფურგონი ხალხის ნაკადში შეიჭრა. დაშავდა 8 ადამიანი. ყველა მათგანი ჰოსპიტალიზებულია. 6-ის მდგომარეობა კრიტიკულია.

მძღოლს გაქცევა არც კი უცდია. ის დაიკავეს.

პოლიციის ინფორმაციით, დაკავებული მძღოლი წინასწარი პატიმრობის საკანში მოათავსეს. პოლიცია ვარაუდობს, რომ მომხდარი უბედური შემთხვევაა და არა – ტერაქტი.

ტრამპის ადმინისტრაციას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

პრეზიდენტმა ტრამპმა დააკმაყოფილა თავისი ადმინისტრაციის უფროს პრიბუსის თხოვნა გადადგომის შესახებ.

ჟურნალისტებთან საუბარში პრიბუსი ფრიად სიტყვაძუნწი იყო. მან ტრამპის კრიტიკისგან თავი შეიკავა, თუმცა განაცხადა:

– ბატონმა ტრამპმა თავის წინასაარჩევნო გეზს გადაუხვია, ამიტომაც გადადგომა გადავწყვიტე.

პრიბუსის ადგილი ჯონ კელიმ დაიკავა. ის 1950 წელს დაიბადა. კელი პროფესიონალი სამხედროა. ის აშშ-ის ელიტურ ჯარებში, საზღვაო ქვეითებში მსახურობდა და გენერლის წოდებას მიაღწია.

კელის ვაჟი რობერტი (ასევე საზღვაო ქვეითი) ავღანეთში იბრძოდა და დაიღუპა.

გერმანია: ერაყელმა ბარში სროლა ატეხა

კონსტანცში (გერმანია) სისხლიანი ტრაგედია მოხდა. ღამის ბარში უცნობმა პირმა სროლა ატეხა. შედეგად ბარის ერთ-ერთი სტუმარი დაიღუპა და ბარის მცველი მძიმედ დაიჭრა.

შემთხვევის ადგილზე პოლიცია გამოიძახეს. სტუმარმა, რომელმაც სროლა ატეხა, ახლა უკვე პოლიციას გაუხსნა ცეცხლი. საპასუხო გასროლის შედეგად ის მძიმედ დაიჭრა და ჰოსპიტალში მიიყვანეს. ნახევარი საათის შემდეგ ის გარდაიცვალა.

გამოძიებით დადგენილია, რომ მოქალაქე, რომელმაც სროლა ატეხა, ერაყელია. უკანასკნელი წლების განმავლობაში ის გერმანიაში ცხოვრობდა.

ჯერჯერობით უცნობია, იყო თუ არა მომხდარი ტერაქტი. მიმდინარეობს გამოძიება.

კორეის ნახევარკუნძულს ამერიკულმა ბომბდამშენებმა გადაუფრინეს

ჩრდილოეთ კორეა აგრესიულ ქმედებებს განაგრძობს. ბალისტიკური რაკეტების გამოცდა არ წყდება. ოფიციალური ფხენიანი მუქარასაც არ ერიდება. ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ უკვე ისეთი რაკეტები აქვთ, რომლებსაც შეუძლიათ, აშშ-ს მიაღწიონ.

– ასე რომ, ამერიკელებო, აზრზე მოდით, –ასეთი არადიპლომატიური ტონით მთავრდება ეს განცხადება.

საპასუხოდ აშშ-მ სამხრეთ კორეასთან ერთად სამხედრო სწავლებები მოაწყო. ამ დროს ბალისტიკური რაკეტებიც გაუშვეს.

– სწავლებამ მაღალ დონეზე ჩაიარა, – იტყობინება აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო.

ამის შემდეგ აშშ-იაპონიის ერთობლივი სამხედრო სწავლებებიც გაიმართა. მასში მონაწილეობა როგორც აშშ-ის, ისე იაპონიისა და სამხრეთ კორეის სამხედრო- საჰაერო ძალებმაც მიიღეს. ამერიკულმა ბომბდამშენებმა თავიან სამხრეთკორეელ და იაპონელ მოკავშირეებთან ერთად კორეის ნახევარკუნძულს გადაუფრინეს. თვითმფრინავები დაბალ სიმაღლეზე მიფრინავდნენ, შემდეგ კი თავიანთ ბაზებზე დაბრუნდნენ.

ამრიგად, აშშ-მ ძალის დემონსტრირება

მოახდინა.

ამავე დროს, აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სააგენტოს ხელმძღვანელმა, გენერალმა გრივმა განაცხადა, რომ ბალისტიკური რაკეტების ჩამოგდების სწავლებები წარმატებთ ჩატარდა. საცდელი რაკეტა, რომელიც წყნარი ოკეანის ნაპირებიდან გაუშვეს, დროზე აღმოაჩინეს და ჩამოაგდეს.

– ჩრდილოეთ კორეას ვაფრთხილებთ: მოთმინების ფიალა აივსო, – ამბობს გრივი.

პრეზიდენტმა ტრამპმა შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა ჩინეთს დააკისრა. მისი აზრით, ჩინეთს შეეძლო, ჩრდილოეთ კორეაზე სათანადო ზეგავლენა მოეხდინა, მაგრამ ასე არ მოხდა.

– ჩინეთით ძალზე იმედგაცრუებული ვარ, – თქვა ტრამპმა.

ევგენი მარჩუკი: „ყირიმი უკრაინას უნდა დაუბრუნდეს“

უკრაინის უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფი, გენერალი ევგენი მარჩუკი აცხადებს, რომ შესაძლოა პოლიტიკოსთა და ექსპერტთა საერთაშორისო საბჭო შეიქმნას. ის ბუდაპეშტის მემორანდუმის შეუსრულებლობის მიზეზებს გაარკვევს. ბუდაპეშტის მემორანდუმით, უკრაინას რუსეთმა, აშშ-მ, ინგლისმა და საფრანგეთმა ტერიტორიული მთლიანობის გარანტია მისცეს. სანაცვლოდ უკრაინამ თავის ბირთვულ არსენალზე უარი განაცხადა.

მარჩუკმა ხაზი გაუსვა, რომ იმპერიის რესტავრაციის გეგმა სწორედ უკრაინამ ჩაშალა.

– ჩვენ აშშ-ის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ყველაზე მეტი წვლილი შევიტანეთ, – აცხადებს უშიშროების ყოფილი შეფი და ამატებს, რომ ყირიმი, რომელიც ამჟამად რუსეთის მიერ არის ანექსირებული, უკრაინას უნდა დაუბრუნდეს.

– სავარაუდოდ, ეს მაშინ მოხდება, როცა ამ საკითხის გარშემო რუსეთის, აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთისა და უკრაინის მოლაპარაკებები დაიწყება, – ამბობს მარჩუკი.

გენერალმა აღნიშნა, რომ უკრაინას სრული მორალური უფლება აქვს, ყირიმის დაბრუნება მოითხოვოს.

– ყირიმი ძირძველი უკრაინული მიწაა. ის უკრაინას აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს, – თქვა მარჩუკმა.

ვენესუელაში დაპირისპირება გრძელდება

ვენესუელაში საკონსტიტუციო ასამბლეის არჩევნები ჩატარდა. პრეზიდენტმა მადურომ ოპოზიცია გააფრთხილა, რომ თუკი ხალხის ქუჩაში გამოყვანას გაბედავდნენ, შავი დღე დაადგებოდათ.

ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა. ვენესუელის ქალაქებში მასობრივი საპროტესტო აქციები გაიმართა. მადურომ მუქარა შეასრულა. მან ოპოზიციას სპეცრაზმი მიუსია.

შეტაკებების შედეგად 9 ადამიანია დაღუპული. აქედან ერთ-ერთი, ადვოკატი პელედა, ახლადარჩეული საკონსტიტუციო ასამბლეის წევრია. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა მადურომ განაცხადა, რომ საკონსტიტუციო ასამბლეის არჩევნები შედგა.

– დღეს ისტორიული დღეა! ჩვენ საკონსტიტუციო ასამბლეა ავირჩიეთ, – თქვა მადურომ.

ვენესუელაში კი სისხლიანი დაპირისპირება გრძელდება. აშშ ვენესუელის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას აპირებს.

პენტაგონმა ისლამისტების 4 ლიდერის ლიკვიდაცია დაადასტურა

ამერიკულმა უპილოტო თვითმფრინავებმა ავღანეთში ისლამური სახელმწიფოს შტაბბინაზე დარტყმა განახორციელეს.

შედეგად ლიკვიდირებულია უამრავი ისლამისტი, მათ შორის ლიდერებიც. ესენი არიან: შეიხი ზიუავულა, ნულავი გჰუბაიბი, ჰაჯი შირულა, ჰაჯი ასუადულა. პენტაგონმა ისლამისტი ლიდერების ლიკვიდაციის ფაქტი ოფიციალურად დაადასტურა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ტრამპის ნახატი 29 ათას დოლარად გაიყიდა

აშშ-ის პრეზიდენტ დოლანდ ტრამპის ნახატი აუქციონზე 29 ათას დოლარად გაიყიდა. ეს



ინფორმაცია აუქციონის სახლის Nate D. შანდერს იუტტიონს-ის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.

ლოტის სასტარტო ფასი 9 ათასი დოლარი იყო. ეს სურათი ტრამპმა შავი მარკერით 2005 წელს საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის დახატა.

სურათზე ამერიკის პრეზიდენტმა გამოსახა ნიუ იორკში მდებარე ცათამბჯენი „ტრამპ თაუერი“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგბია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ბექა ორჯონიკიძე: „ჩვენი მინიმუმი პლეი ოფში გასვლა იქნება“

8-21 აგვისტოს თბილისი 19-წლამდე ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრებთან ერთად ჯგუფში გერმანია, ისლანდია, იაპონია, ჩილე და ალჟირი მოხვდნენ.

პირველი მატჩი ჩვენს გუნდს ალჟირის გუნდთან ექნება და ამ შეხვედრის შედეგზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. როგორ ემზადება ჩვენი ნაკრები მოახლოვებული ტურნირისთვის, ამას ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბექა ორჯონიკიძესთან ინტერვიუთი შეიტყობთ.

– რამდენად კმაყოფილი ხართ წილისყრის შედეგებით?

– მსოფლიოს ჩემპიონატზე იოლი ჯგუფი და მარტივი მეტოქეები არ არსებობს. რა თქმა უნდა, ბ ჯგუფი, სადაც ჩვენ მოგვიწევს ასპარეზობა, ძლიერი მეტოქეებით არის დაკომპლექტებული, თუმცა სიკვდილის ჯგუფად ვერ შევრაცხავთ. ნებისმიერ შემთხვევაში, სადაც არ უნდა მოვხვედრილიყავით, ბოლომდე დახარჯვა მოგვიწევდა და ასე იქნება ამ შემთხვევაშიც.

– ჩვენი მეტოქეები თუ გყავთ შესწავლილი?

– ვცდილობთ, ყველა გუნდზე მაქსიმალური ინფორმაცია მოვიპოვოთ. ევროპული ნაკრებები, გერმანია და ისლანდია ამომწურავად შევისწავლეთ, ნანახი გვაქვს იაპონიის გუნდის სხვადასხვა თამაშებიც, რაც შეეხება ჩილესა და ალჟირს, შედარებით მწირი ინფორმაცია გვაქვს, თუმცა ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ არის დრო და იმედია, ამ ორ გუნდსაც ზედმიწევნით გავშიფრავთ.

– რამდენად რეალურად გესახებათ ჯგუფიდან გასვლა და რა იქნება ჩვენი ნაკრების პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი?

– ჩვენ რეალურად შეგვიძლია ჯგუფური ეტაპი გადავლახოთ და ეს სულაც არ არის გადაჭარბებული ნათქვამი. თავისთავად გათვითცნობიერებული გვაქვს, რომ ამის გაკეთება იოლი არ იქნება, მაგრამ საკუთარ კედლებში და ქომაგების აქტიური მხარდაჭერით, პლუს მაქსიმალური მობილიზებით შეუძლებელი არაფერია. ჩვენი პროგრამა მინიმუმიც სწორედ პლეი ოფში გასვლაა, ხოლო მაქსიმუმს რაც შეეხება, ვფიქრობ შეგვწევს ძალა სახელბურთო სამყაროს და მთლიანად ქართულ სპორტულ საზოგადოებრიობას უფრო მეტი სიურპრიზიც შევთავაზოთ.

– უშუალოდ ჩემპიონატისთვის მზადების პროცესზე რას იტყოდით?

– ახალი წლის შემდეგ, მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად შევუდექით მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას და დღემდე რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორი არ გვქონია. ერთადერთი, ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე ყველა მოთამაშე ჩვენს განკარგულებაში ვერ იყო, თუმცა ფორმას და სათამაშო ტონუსს თავიანთ გუნდებში ინარჩუნებდნენ. დიდად წაგვადგა ივნისში ბულგარეთის ტურნირში მონაწილეობა. ამ ასაკში ხომ მოთამაშეები უცხოურ გუნდებთან პაექრობებით იზრდებიან. ბიჭებმა გამოცდილება აიმაღლეს და ბრძოლისუნარიან გუნდად ჩამოყალიბდნენ.

– ნაკრებში ლეგიონერი ხომ არ გვყავს?

– დიახ, ირაკლი კბილაშვილი, რომელიც საბერძნეთის ერთ-ერთ კლუბში ირიცხებოდა. ბერძნებს ახლაც სურთ მისი შენარჩუნება, თუმცა ირაკლი არ ჩქარობს და უკეთესი შემოთავაზების მოლოდინშია.

– დასკვნითი შეკრების გამართვას სად გეგმავთ?

– თბილისში ვემზადებით. ამჟამად ბაზაზე ვართ შეკრებილი და სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ ვცხოვრობთ, სადაც დასვენებისთვის და ძალების აღსადგენად იდეალური პირობებია შექმნილი. ეროვნული ჩემპიონატის სხვადასხვა გუნდებთან სპარინგ მატჩებს სისტემატიურად ვმართავთ, მაგრამ გვსურს ჩემპიონატამდე 1-2 ამხანაგური მატჩი რომელიმე უცხოურ ნაკრებთანაც ვითამაშოთ. მაგალითად, ჩილეს გუნდი თბილისში ყველაზე ადრე 31 ივლისს ჩამოდის, თუმცა სამხრეთ ამერიკელები ქვეჯგუფში გვყავს და მათთან ამხანაგური რამდენად გამოგვივა და მიზანშეწონილი იქნება, დასაფიქრებელია. მონაწილე გუნდების ძირითადი ნაკადი ტურნირამდე 4-5 დღით ადრე ჩამოვა და აღბათ რომელიმე ნაკრებთან სპარინგ შეხვედრის გამართვას მოვახერხებთ.

– ზემოთ ბულგარეთის ტურნირი ახსენეთ და იქნებ უფრო ვრცლად გვითხრათ, რამდენად კმაყოფილი დარჩით?

– საბოლოოდ, მე-8 ადგილი დავიკავეთ და შედეგით შეიძლება დიდად კმაყოფილება ვერ გამოვხატოთ, მაგრამ იმ ბრძოლისუნარიანობით, რაც ბიჭებმა გამოავლინეს, შემართებით და თამაშის ხარისხით იმედი ჩამესახა, რომ თბილისში თავს არ შევირცხვენთ. ჯგუფში ლუქსემბურგთან ბრძოლაში დავმარცხდით, მაგრამ შემდეგ დიდ ბრიტანეთსა და მალტას ვაჯობეთ და მეოთხედფინალში გავედით, სადაც თურქეთთან დასანანი მარცხი ვიწვნიეთ.

– რა მიგაჩნიათ ჩვენი 19 წლამდე ნაკრების სუსტ და ძლიერ მხარეებად?

– დაცვის ხაზი და სწრაფი თამაში უდავოდ ჩვენი გუნდის კოზირად მიმაჩნია, მეკარის პრობლემასაც არ ვუჩივით. რაც შეეხება სუსტ რგოლს, ბურთის გათამაშების დროს ხშირად მოგვდის ტექნიკური წუნი და ამ მხრივ სამუშაო გვაქვს.

– რას ჰპირდებით ქართველ გულშემატკივარს?

– 8-დან 20 აგვისტომდე თბილისის ოლიმპიურ სასახლეში არა მხოლოდ სახელბურთო, არამედ ზოგადად სპორტული ზეიმი იქნება. ასეთი მასშტაბური გუნდური შეჯიბრი 24 ნაკრების მონაწილეობით ჩვენს ქვეყანაში არასდროს გამართულა და დარწმუნებული ვარ, მის ორგანიზებას ღირსეულად გავართმევთ თავს. გულშემატკივარს კი ვპირდებით ბრძოლას, ჟინს და თავდადებას. სავსე ტრიბუნები და ქომაგების აქტიური მხარდაჭერა ბიჭების კიდევ უფრო დასამუხტად აუცილებელია. თითოეულ მატჩში ბოლომდე დავიხარჯებით და დარბაზში თუ ტელეეკრანებთან მყოფი გულშემატკივრის გასახარებლად ძალღონეს არ დავიშურებთ.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ჯერჯერობით 19 ხელბურთელია. მათგან უშუალოდ შეჯიბრების წინ, 7 აგვისტოს, განაცხადში 16 შევა. ტურნირის განმავლობაში შეიძლება 3 ცვლილება, ოღონდ მხოლოდ 2 ახალი მოთამაშის დამატება 28-კაციანი სიიდან. მაგალითად, შესაძლებელია 2-ის შეცვლა და ერთი გამოცვლილის უკან დაბრუნება – ჯამში, 18 მოთამაშის გამოყენება.

მეკარეები: სანდრო ხანდოლიშვილი (ქარიშხალა), გიორგი ხარაიშვილი (იმედი თელავი), გიორგი ვათიაშვილი (გორი);

მოედნის მოთამაშეები: ხაზეინ რუსტამოვი, ირაკლი კბილაშვილი (ორივე ქუთაისი), გიორგი დოლმაზაშვილი, ზეზვა იობაშვილი, გიგა ბაინაზიშვილი, დავით ყორიაული, გიორგი მიქავა (ყველა იმედი), ზურაბ გოგავა, გიორგი ცხოვრებაძე, გიორგი ლაპიაშვილი (ყველა პეგასი), გიგი ფერაძე, ლუკა ბულბულაშვილი, ერეკლე არსენაშვილი (ყველა ქარიშხალა), გიორგი ტიელიძე, დავით ნიაზაშვილი (ორივე გორი), ნიკოლოზ ბაჯალაძე (ფოთი).

16 წლამდე გოგონების ბრინჯაოს მედალი

საქართველოს 16 წლამდე გოგონათა საკალათბურთო ნაკრები ევროპის ც დივიზიონის ბრინჯაოსმედალოსნები არიან. გიბრალტარში დასრულებულ 7 ქვეყნის ტურნირში საქართველომ მე-3 ადგილი დაიკავა. ნინო ყიფშიძისა და შოთა იაქაშვილის განწვრთნილმა გუნდმა მე-3 ადგილისთვის მატჩში უელსს 66:45 მოუგო.

მატჩის გმირი გახდა და ტურნირის სიმბოლურ ხუთეულშიც მოხვდა ჩვენი გუნდის უკანახაზელი მარიამ ოქროპირიძე, რომელმაც უელსელებს 32 ქულა ჩაუგდო. მის გარდა, ქართველებისგან არავის მიუღწევია 10-წულიან ზღვრამდე.

შეგახსენებთ, რომ გასულ, 2016 წელს საქართველომ 16-წლამდელთა ბ დივიზიონი მოიგო, თუმცა იმ გუნდის უმეტესობა ასაკით მაღლა, 18-წლამდელებში გადავიდა და წლეულს საქართველოს ეს ასაკობრივი ნაკრები დივიზიონში იასპარეზებს, რომელსაც 4-13 აგვისტოს ირლანდიის დედაქალაქი დუბლინი უმასპინძლებს.

სამაგიეროდ, ვერ ყოჩაღობს საქართველოს 18-წლამდელთა ვაჟთა ნაკრები, რომელმაც მორიგი, რიგით მე-3 მარცხი ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში. არჩილ ჟღენტისა და მიხეილ კობეშავიძის გაწვრთნილმა გუნდმა 30 ივლისს ჯგუფის ფავორიტ ხორვატიასთან შეხვედრა 13 ქულით – 49:62 დათმო.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი ნიკა ჩეჩელაშვილი იყო 16 ქულით, კახა ჟღენტმა კი 11 ქულა ჩააგდო.

ქართველ კალათბურთელებს მომდევნო შეხვედრა ბულგარეთთან ელით, შემდეგ კი ჯგუფურ ეტაპს უნგრეთთან დაპირისპირებით დაასრულებენ.

ტორპედომ ლიდერთან სხვაობა შეამცირა, ბათუმელებმა დილა მოიტოვეს

შუქურა-ტორპედო 1:2

ბათუმი. რაგბი არენა

1:0 ჩაგელიშვილი (10), 1:1 კუხიანიძე (26), 1:2 კაპანაძე (55)

შუქურა: მელნიჩენკო, ჩადუნელი, პომაზანი, ართმელაძე (ა.გურული 65), ჩაგელიშვილი, ჯეფინიო, კლიმიაშვილი (შალამბერიძე 69), მარსელინიო, კახელიშვილი (გოგილაშვილი 81), გოგიტიძე, ჩაჩუა

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე, ადამაძე, გ.გურული, ქიმაძე, ფალავანდიშვილი, ბაბუნაშვილი (ბაბუნაშვილი 67), კუხიანიძე (კორობკა 81), დოლიძე, ტუღუში, კაპანაძე (კუჭუხიძე 61)

მას შემდეგ, რაც თბილისის დინამომ ამ ტურის თავისი შეხვედრა ლოკომოტივთან დათმო, ტორპედოსაც მასთან 6-ქულიანი ჩამორჩენის გასანახევრებლად კარგი შანსი გაუჩნდა და ეს გამოიყენა. თუმცა, ნერვიულობის გარეშე არც მათთვის ჩაუვლია მატჩს.

ზღვისპირელებმა გვარიანი წიაღმდეგობა გაუწიეს სტუმრებს. მე-10 წუთზე დაწინაურებაც კი მოახერხეს: მარსელინიოს პასით დავით ჩაგელიშვილმა ახლო მანძილიდან გაიტანა.

ქუთაისელებმა ეს გოლი 26-ე წუთზე გაქვითეს: ვაჟა ტაბატაძის მიერ მარჯვენა ფრთიდან კარის გასწვრივ გაგზავნილი ბურთი შუქურას მცველებმა უხეიროდ გამოიტანეს და გიორგი კუხიანიძემ საჯარიმოს გარედან ერთი შეხებით ზუსტად დაარტყა. შესვენებამდე ტორპედოელებს დაწინაურებაც შეეძლოთ, თუმცა საგოლე სიტუაციებით ვერ ისარგებლეს.

სტუმრები თამაშის განახლებიდან 10 წუთში გავიდნენ წინ. თორნიკე კაპანაძემ გრიგოლ დოლიძეს გარჯა დაუფასა და ახლოდან უპრობლემოდ გადაგზავნა ბურთი ბადეში.

ამის შემდეგ ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ გოლი აღარ გასულა და შუქურამ ზედიზედ მეხუთე შეხვედრა წააგო...

დილა-დინამო (ბთ) 1:2

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 პედრინიო (7), 1:1 შონია (40), 1:2 გრიგალაშვილი (71)

დილა: მუჯრიშვილი, მაჩაიძე, პაპავა, რაზმაძე, გაგოშიძე, ტარავალიე, ქარქუზაშვილი (კვახაძე 46), კირკიტაძე (აშორტია 16), ნუბიო, ძარია, პედრინიო (მოდებაძე 75)

დინამო: შოვნაძე, ფარტენაძე, შონია, ვალერიან (ვარშანიძე 73), სუხიაშვილი, კვირკველია. ჩოგაძე (კვანტალიანი 82), ე.გრიგალაშვილი, ტვილდიანი, კვასოვი, მარცვალაძე

სატურნირო თვალსაზრისით პრინციპული მატჩი იყო, რადგან ეს გუნდები ერთმანეთს სახიფათო ზონაში თავის ასარიდებლად ერთმანეთს ეცილებიან.

არადა, გორელებმა შეხვედრა კარგად დაიწყეს და მე-7 წუთზე პედრინიოს გატანილი საჯარიმო დარტყმის წყალობით მეტოქეს ამარცხებდნენ. თუმცა უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს და ბათუმელებმა ანგარიშის გათანაბრება პირველივე ნახევარში მოახერხეს – მე-40 წუთზე შორეული დარტყმით თეიმურაზ შონიამ გაიტანა.

მე-2 ტაიმი დილას აქტიურობით დაიწყო, მაგრამ დინამომ უპირატესობა მაინც მოიპოვა და გამარჯვების გოლიც გაიტანა. 71-ე წუთზე მიხეილ მუჯრიშვილს ახლო მანძილიდან ელგუჯა გრიგალაშვილმა გაუტანა.

დარჩენილ დროში რამდენიმე მომენტი მასპინძლებმაც შექმნეს და ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლოთ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში შემტევებს სიზუსტე არ ეყოთ. შეხვედრის ბოლო წუთზე განსაკუთრებით კარგი მომენტი ჰქონდა ფლავიო ნუბიოს, მაგრამ ბრაზილიელმა ლეგიონერმა ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა.

სატუნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	20	15	1	4	49-15	46
2.ტორპედო	20	13	4	3	31-14	43
3.სამტრედია	20	12	3	5	32-21	39
4.ლოკომოტივი	20	9	3	8	35-23	30
5.ჩიხურა	20	9	2	9	27-32	29
6.საბურთალო	20	8	2	10	23-27	26
7.დინამო (ბთ)	20	7	2	11	17-25	23
8.დილა	20	5	7	8	24-26	22
9.კოლხეთი	20	4	6	10	18-35	18
10.შუქურა	20	1	4	15	15-53	7

ბომბარდირები: ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 15 ბურთი; ბაჩანა არაბული (დინამო თბ), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 11-11; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხ/დინამო თბ) – 10;

შედეგები

30 ივლისი

ფეხბურთი

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ნიურნბერგი-კაიზერი 3:0
დინამო-დუისბურგი 1:0
კილი-ზანდჰაუზენი 2:2

ხუსეთი. ჰიემიეხლიგა

ამკარი-როსტოვი 0:1
ლოკომოტივი-ანჟი 1:0
ტოსნო-ზენიტი 0:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-ლუცერნი 3:1
ლოზანა-სიონი 0:1
ციურიხი-თუნი 2:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

აუსტრია-შტურმი 2:3
ადმირა-ალტახი 4:1

ბელგია. 1 დივიზიონი

მეხელენი-სტანდარდი 1:1
სტ.ტრუიდენი-გენტი 3:2
ოსტენდე-მუსკრონი 0:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბოლესლავი-სიგმა 1:2
ლიბერეცი-ზლინი 1:0
სპარტა-ბოჰემიანსი 1905 ..... 1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

არკა-პლოცკი 1:1
პოგონი-იაგელონია 0:1
ლეხი-პიასტი 5:1

უკრაინა. ჰიემიეხლიგა

მარიუპოლი-ჩერნომორეცი 3:0
ოლეკსანდრია-ზორია 1:1
ოლიმპიკი-ვერესი 0:0

დანია. სუპერლიგა

მიდტიულანდი-რანდერსი 2:1
ნორდსიელანდი-ოლბორგი 3:2
ბრონდბიუ-ლუნგბიუ 5:3

შვედეთი. ალსვენსკა

გიოტებორგი-ნორჩიოპინგი 4:1
ესტერსუნდი-ჰალმშტადი 0:0
აიკი-კალმარი 0:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სპორტი

ნეიმარი პარიზისკენ მიდის და კოუტინიოსაც ეპატიჟება

ბარსელონის თავდამსხმელი ნეიმარ და სილვა სანტოსი უახლოეს დროში პარი სენ ჟერმენის ფეხბურთელი გახდება.

გავრცელებული ინფორმაციით, პარიზელები 25 წლის ბრაზილიელის ტრანსფერზე ოთხშაბათს გამოაცხადებენ. ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ დღეს ნეიმარი დოჰაში სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

პარი სენ ჟერმენის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ბარსელონის ფეხბურთელ ნეიმარის პრეზენტაციის ვარიანტებს განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსფერი ჯერ არ შემდგარა,

პარიზელები ფიქრობენ, თუ სადაა უკეთესი მოთამაშის წარდგენა. პსჟ-ს ხელმძღვანელობამ პარიზის პოლიციას უკვე მიმართა, რათა გაეგო ფეხბურთელის პრეზენტაციასთან დაკავშირებით მასშტაბური ღონისძიების შესაძლო ორგანიზებაზე, თუმცა საბოლოო ადგილი ჯერჯერობით ვერ აირჩიეს. თუ ხელისუფლებასთან შეთანხმება არ შედგება, ნეიმარს კლუბის საშინაო არენაზე, „პარკ დე ფრენსზე“ წარადგენენ.

შეგახსენებთ, რომ 2012 წელს ზლატან იბრაჰიმოვიჩის პრეზენტაცია ეიფელის კოშკთან შედგა.

ბარსელონის პრეზიდენტი ხოსეპ მარია ბართომეუც თითქმის ადასტურებს, რომ ნეიმარის პარი სენ ჟერმენში გადასვლა გადაწყვეტილია და ასევე აცხადებს, რომ პარიზელებს 222 მილიონის სრულად გადახდა მოუწევთ.

– ჩვენ გვინდა, რომ ნეიმარი ბარსელონაში დარჩეს, მაგრამ მის კონტრაქტში გამოსასყიდი თანხაა მითითებული. თუ წასვლა გინდათ, უნდა გადაიხადოთ. იმ ფულით, რომელსაც მისი გაყიდვიდან მივიღებთ, გუნდის გაძლიერებას შევძლებთ. პარიზელებს გამოსასყიდი თანხის ბოლო ცენტამდე გადახდა მოუწევთ.

გავრცელებული ინფორმაციით, პარი სენ ჟერმენი ცდილობს, ნეიმარის სატრანსფერო თანხა გარიგებაში სხვა ფეხბურთელის ჩართვით შეამციროს. ამის მიზეზი ფინანსური ფეარ პლეია. თუმცა, ბარსელონას 222 მილიონის სრულად მიღება სურს.

კატალონიელები ამ ფულით რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას აპირებენ. ერთ-ერთი მათგანი ფილიპე კოუტინიოა, რომელთანაც პირადი კონტრაქტის დეტალები უკვე შეათანხმა და ახლა ჯერი ლივერპულთან მოლაპარაკებაზეა. თუმცა, ბრაზილიელის კატალონიურ კლუბში გადასვლას ხელს ნეიმარი უშლის.

კატალონიური გამოცემების ცნობით, პარი სენ ჟერმენისკენ მიმავალი ნეიმარი ცდილობს კოუტინიო დაარწმუნოს, რომ ის ლივერპულიდან არა ბარსელონაში, არამედ პსჟ-ში გადავიდეს. თუ კოუტინიოს ტრანსფერი არ შედგა, ბარსელონა არსენალის ნახევარმცველ მესუთ იოზილის შეძენაზე იმუშავებს.

იოზილი, სავარაუდოდ, ევროპა ლიგაზე თამაშს ბარსელონაში გადმოსვლას ამჯობინებს, თანაც არსენალი მომავალ სეზონში, დიდი ალბათობით, ასევე ერთ-ერთი ლიდერის ალექსის სანჩესის გარეშე დარჩება.

კატალონიელები იმედოვნებენ, რომ გერმანელს კოუტინიოსთან შედარებით უფრო დაბალ ფასად შეიძენენ და თავდაპირველად 60 მილიონი ევროს შეთავაზებას აპირებენ.

ბარსელონა მუშაობას პაულო დიბალას ტრანსფერზეც იწყებს.

ესპანური მედიის ცნობით, კატალონიელთა სპორტული დირექტორი არიედო ბრაიდა იუვენტუსის გენერალურ დირექტორ ჯუზეპე მაროტას უახლოეს მომავალში შეხვდება და 23 წლის არგენტინელის თაობაზე მოლაპარაკებებს გამართავს.

ტრანსფერის თანხად 110 მილიონი ევრო სახელდება. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ პაულო დიბალას გამოსასყიდი თანხა 120 მილიონი ევროა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალაქიდან სოფლიდან

პამელა ანდერსონის მიერ გადარჩენილმა სპილომ მამაკაცი გასრისა

ინდოეთის ქალაქ ბანგალორის მახლობლად მდებარე ბანერგხატას ეროვნულ პარკში სპილომ, სახელად სანდერმა, 27 წლის მამაკაცი გასრისა, რომელმაც მასთან ვოლიერში შეაღწია, რათა მასთან სელფი გადაეღო.

ინციდენტი 25 ივლისს მოხდა. პოლიციელებმა მამაკაცის აბხილაშის ცხედარი საავადმყოფოში გადაიტანეს, სადაც ის მისმა ნათესავებმა ამოიცნეს. მიზეზი, თუ რატომ დაესხა სპილო თავს მამაკაცს, უცნობია.

აღსანიშნავია, რომ ამ სპილომ მას შემდეგ გაითქვა სახელი, როდესაც ამერიკელი მსახიობი პამელა ანდერსონი და ბრიტანელი მუსიკოსი პოლ მაკარტნი შეუერთდნენ ცხოველის გადასარჩენად წამოწყებულ კამპანიას, ვინაიდან მისი პატრონები მას სასტიკად ეპყრობოდნენ.

ცხოველი ეროვნულ პარკში 2014 წელს გადაიყვანეს, სადაც მან მოახერხა ურთიერთობის დალაგება არა მარტო თანამომმეებთან, არამედ ადამიანებთანაც და ასევე სპლიყვის, სახელად შივას მამაც გახდა.

ბერლინელს ხესთან დატოვებული ოქროს ზოდები და ფული დაუბრუნეს

ბერლინის რაიონ ნეიკელნში გამვლელმა ქალაქის მცხოვრებს დაუბრუნა მის მიერ ხესთან დავიწყებული 22 ცალი ოქროს ზოდი და სამი ათას ხუთასი ათასი ევრო.

როგორც პოლიციას ამ ფასეულობების მფლობელმა განუცხადა, ის თავის ველოსიპედს აბამდა, ამიტომ, ხელი რომ არ შეშლოდა, შეკვრა, რომელშიც ოქრო და ფული იდო, ხის ძირას დადო, შემდეგ კი დაავიწყდა.

გამვლელი, რომელმაც გარკვეული დროის შემდეგ ხის ძირას დაგდებული შეკვრა ნახა, მისი შიგთავსის ნახვის შემდეგ გაოგნებული აღმოჩნდა. მან (მისი ვინაობა არ სახელდება) ნაპოვნი პოლიციაში მიიტანა.

იმის გამო, რომ შეკვრაში პირადი ნივთებიც ეწყო, სამართალდამცავებმა სწრაფად მოახერხეს მისი მფლობელის პოვნა.

აღსანიშნავია, რომ გამვლელის პატიოსნება დაფასდება. გერმანული კანონმდებლობის თანახმად, ადამიანებს, რომლებიც დაკარგულს იპოვიან, უფლება აქვთ, ნაპოვნის ღირებულების სამი-ხუთი პროცენტი მიიღონ. ამ შემთხვევაში პატიოსანი გამვლელის ჯილდომ შესაძლოა ორი ათას ევრომდე მიაღწიოს.

ევროპაში ხორცის სასმელის გაყიდვა დაიწყება



გერმანელი მეხორცე პეტერ კლასენი ბაზარზე გამოუშვებს ხორცისგან დამზადებულ სასმელს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გერმანული გამოცემა ავრცელებს.

პროდუქტი გაყიდვაში გერმანიაში სექტემბერში გამოჩნდება. კლასენის თქმით, მან უკვე გააფორმა შეთანხმება მწარმოებლებთან ლუქსემბურგში, ბელგიასა და საფრანგეთში.

– ჩვენ მის მიმართ დიდ დაინტერესებას ვხედავთ. მსგავსი არაფერი არსებობს, – აღნიშნა გერმანელმა მეხორცემ და იქვე დაამატა, რომ განცხადება შეიტანა საერთაშორისო პატენტზე.

ამ დროისთვის კლასენმა შექმნა სამი გემოს ხაზი: „სტეიკი“, „ბომბეის საქონლის“ და „სამეფო ქათამი“. სასმელის მოსამზადებლად, ხორცს ბოსტნეულთან ერთად ხარშავენ და აქუცმაცებენ პიურედ კაკაოს კონსისტენციამდე. ამის შემდეგ სითხეს ბოთლებში აფასოებენ და ასტერილებენ.

55 წლის მამაკაცის თქმით, ასეთი სახით გაციებული სასმელი მთელი წელი ინახება. ის ასევე მიიჩნევს, რომ მიღებული სუბსტანციის გამოყენება მოსახერხებელია არმიისა და ჰუმანიტარული დახმარებისთვის. რეცეპტს კლასენი თავის შვილ ფილიპთან და მზარეულ შტეფან კიმელთან ერთად სამი წლის განმავლობაში ქმნიდა.

– ბევრი მომხრეც იქნება და მოწინააღმდეგეც, რომლებიც საზიზღრობად ჩათვლიან ხორცის დალევას, – აღნიშნა კლასენმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადება

2017 წლის 25 სექტემბერს, 12 საათზე, ქ.გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის:. ქ.გურჯაანი, ნონეშვილის ქ. №13) გაიმართება შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ გურჯაანის მუნიციპალიტეტში ქ. გურჯაანის მიმდებარედ დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ასფალტის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

ქ. გურჯაანი, კომპანიის ოფისი.

ტელ: 595-08-96-46.

საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი – ქეთევან ნადირაშვილი, ტელ:. 595-08-96-46.

ადმინისტრაცია

ასტროპროგნოზი

1 აგვისტოსთვის

ვერძი – იღბლიანი დღეა, რომელიც განსაკუთრებით წარმატებულია ბიზნესის სფეროში მომუშავე ადამიანებისათვის. ბევრი თქვენგანისთვის სასიამოვნო ცვლილებები იწყება. **კურო** – ცხოვრების აზრს სრულიად ახლებურად აღიქვამთ. წარმატება გელით საოჯახო საქმიანობასა და სამსახურში. უაზრო დროის ხარჯვა ერიდეთ. **ტყუპები** – ძალზე პერსპექტიული დღეა. გაგიმართლებთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. ცოდნის მისაღებად მშვენიერი შანსი გეძლევათ. **კირჩხიბი** – გადაწყვეტილებები თქვენი შესაძლებლობების გათვალისწინებით მიიღეთ. მიენდეთ ინტუიციას და ისე იმოქმედეთ. თქვენთვის ავტორიტეტული ადამიანების აზრი მხედველობაში მიიღეთ. **ლომი** – სურვილები შესაძლებლობებს დაუქვემდებარეთ, ოღონდ სხვა ადამიანების ინტერესებსაც ნუ უგულებელყოფთ. შესაძლოა, ფინანსების გამო სანერვიულო შეგხვდეთ. **ქალწული** – ძალზე ჰარმონიული დღე გაქვთ. გეგმების განხორციელებაში ხელს ვერაფერი შეგიშლით, თუმცა ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის ენერგიის დახარჯვა მაინც მოგიწევთ. **სასწორი** – დღე დილიდანვე დაგეგმეთ, ოღონდ ყურადღება მხოლოდ მთავარზე გაამახვილეთ. დანაპირები უთუოდ აასრულეთ. **ღრიანკალი** – მთლიანობაში კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა პერიოდულად შესაძლოა ვითარება დაიძაბოს. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. გარშემომყოფებისადმი მოთმინება და ტაქტი გამოიჩინეთ. **მშვილდოსანი** – ემოციურად ხართ განწყობილი. გიჩნდებათ მოთხოვნილება, ვინმემ თქვენზე იზრუნოს. წყენას გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. **თხის რქა** – საქმე დინჯად და ორგანიზებულად აკეთეთ. ზოგიერთი საკითხი თქვენგან მყისიერ რეაგირებას მოითხოვს, მაგრამ ეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ. **მერწყული** – მშვენიერ ფიზიკურ ფორმაში ხართ. ჩანაფიქრის რეალიზაცია არ გაგიჭირდებათ. კოლეგები თქვენ მიმართ სიმპათიას ავლენენ. **თევზები** – საკუთარი წარმატების დაპროგრამებას თავად ახერხებთ. მთავარია, იყოთ გაბედული, თავდაჯერებული და მშვიდი. განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ეგვიპტის მმართველთა ტიტული; 2. პირი, რომელიც არცერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 3. მონასტერი ქსნის ხეობაში; 5. ჩინური ფაიფური; 7. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 9. ბრუნვის სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო; 13. თაღლითის ძველი ქართული სახელწოდება; 15. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 16. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 18. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა.

თარაზულად: 4. იაპონური მოტოციკლეტი; 6. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 8. ქართველი მხატვარი ქალი; 10. ფულის ერთეული მონღოლეთში; 11. თანდაყოლილი, ფერადი გამონაზარდი ტანზე; 12. შავი და თეთრი შრეებისგან შემდგარი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 14. მდინარის მიერ მოტანილი სილა, ღორღი; 17. ორსართულიანი სახლის ზედა სართული ფშავ-ხევსურეთში; 19. ოქრომჭედლობაში ძვირფასი ლითონისგან დამზადებული წნული; 20. ტერიტორიული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში; 21. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი; 22. ხეების ფესვებზე მზარდი საჭმელი სოკო; 23. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კალათი; 4. ტიანშანი; 7. პეკინი; 8. ვარშავა; 12. ქლიბი; 13. კარაქი; 15. იგუანა; 17. ბოა; 19. გაზიფიკაცია; 20. კარტი; 21. კივერი.

შვეულად: 1. კივი; 2. ათენა; 3. კრივი; 5. აბრაგი; 6. ნეგატივი; 9. მელანქოლია; 10. ლინგვისტი; 11. ისლამიზმი; 14. აბო; 16. პარადი; 18. აკრი.

სკანვორდის პასუხები:

1. ინვარი; 2. ნამი; 3. აკინი; 4. აკრი; 5. პონი; 6. ნული; 7. მისის; 8. კიურე; 9. ოინი; 10. კენია; 11. ისარი; 12. ტრავერსი; 13. კირკიტი; 14. პირანია; 15. სია; 16. მიომა; 17. რკო; 18. ვან; 19. ესპადა; 20. ატა; 21. პარადი; 22. პაი; 23. ხმა; 24. მაზინა; 25. აზარტი; 26. გერი; 27. ომი; 28. ოზმა; 29. რეგრესი; 30. არაგვი; 31. ნუტრია; 32. კაპრიზი.

სურათებზე: პერის ჰილტონი; სემი ჰიპია.

„ერისიონი“ ბლექ სი არენაზე კონცერტს გამართავს



ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ პირველ აგვისტოს ბლექ სი არენაზე კონცერტს გამართავს.

საღამოზე მისული მაყურებელი ანსამბლის განახლებულ შოუპროგრამა „ქართულ საგანძურს“ იხილავს. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 7-30 ლარია.

ბლექ სი არენამდე „ერისიონმა“ კონცერტი სვანეთობის დღესასწაულზე ფუძეობის ფესტივალის ფარგლებში წარადგინა. კონცერტი მესტიაში ღია ცის ქვეშ გაიმართა და მას 8.000-მდე ქართველი და უცხოელი მაყურებელი დაესწრო.

ბესიკ დუღაშვილი იპოვეს



მხატვარი და კარიკატურისტი ბესიკ დუღაშვილი იპოვეს. მისი დის, ანა დუღაშვილის განცხადებით, ის ცოცხალია, კარგად არის და ერთ-ერთ მონასტერში იმყოფება.

ხელოვანს ორი დღის განმავლობაში ეძებდნენ. 50 წლის მხატვარი სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. საქმეში პოლიციაც ჩაერთო.

ბესიკ დუღაშვილმა გაუჩინარებამდე სოციალურ ქსელში დამაფიქრებელი ჩანაწერი დატოვა:

– როცა დაბადებიდან გესმის, რომ ხარ ნიჭიერი, როცა ცხოვრობ პრინციპით „ადამიანებო! გიყვარდეთ ერთმანეთი!“, როცა ცხოვრების დევიზად გაქვს მარკ ტვენის სიტყვები: „იცხოვრე ისე, რომ მესაფლავემაც დაიტიროს შენი სიკვდილი“... როცა აშენებ საკუთარ ბედნიერებას და ეს ბედნიერება თავისი ფუნდამენტიანად არათუ უბრალოდ გენგრევა, არამედ ქვეშ გიყოლიებს, გსრესს...

არა ბედნიერება, არა ოჯახი, არა წარმატებული კარიერა, არა... არა... არა...

და დგები დილემის წინაშე, რომ არჩევანი აღარ გაქვს...

მე გავდივარ... გავდივარ ამასოფლიდან დამარცხებული ცხოვრებასთან ჭიდილში!

გავდივარ იქ, საიდანაც არ ბრუნდებიან...

სუსტი და უმწეო აღმოვჩნდი ამდენ ბრძოლაში...

მე კი უბრალოდ სიცოცხლე მინდოდა, ტკბილი ოჯახი, მოსიყვარულე, გამგები და გამტანი მეუღლე, საყვარელი საქმის კეთება... შვილების აწმყოთი და მომავლით ტკბობა... მშვიდი სიბერე...

დე მე ვიყო ბოლო...

შემინდეთ... და მომიხსენიეთ ლოცვებში...

წავედი! თქვენი ბესიკ (ტატო) დუღაშვილი.

ილია ჭავჭავაძის იუბილე პანკისში აღინიშნა

საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ 2017 წელი ილია ჭავჭავაძის საიუბილეო წელია. საზოგადოებრივი და შემოქმედებითი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივი“ ქვეყნის მასშტაბით ჯერჯერობით ერთადერთი ორგანიზაციაა ყველა სხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო უწყებათა შორის, რომელიც საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად არაერთ აქტივობას ახორციელებს.

ილია ჭავჭავაძის 180 წლის იუბილესთან დაკავშირებით „ეროვნული იმპერატივის“ პროექტი „ილია ჭავჭავაძე 180 – უკვდავების ფენომენი“ უკვე მეოთხე თვეა მიმდინარეობს საქართველოს რეგიონების მასშტაბით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოებრივი და კულტუროლოგიური თვალსაზრისით, ასევე სოციალური პასუხისმგებლობის მხრივ, რადგან დაინტერესებულ პირთა თავისუფალი წვდომის ელემენტია ჩადებული და საიუბილეო ღონისძიებებზე დასწრება თავისუფალია, რაც ასევე ხელს უწყობს უანგარობის, როგორც სამოქალაქო კულტურის ჟესტის დამკვიდრებას.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ილიას თემაზე – სახვითი ხელოვნების თანამედროვე არტისტების ნამუშევრების გამოფენა და სპექტაკლ „საუკუნის მკვლელობის“ წარმოდგენა უკვე განხორციელდა ქუთაისში, ბათუმში, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ხაშურის, ახალციხის, წყალტუბოს, ზესტაფონის, აბაშის, წალენჯიხის, მარტვილის, ხულოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში.

პროექტის ფარგლებში მისი ორგანიზატორები პანკისის ხეობას ესტუმრნენ და საიუბილეო ღონისძიება დუისის კულტურის სახლში გამართეს. პანკისის ხეობის პოლიტიკური, ეთნოკულტურული თუ სოციალური პრიორიტეტულობის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სწორედ ამ მხარეში ეროვნული და სახელმწიფოებრივი მიზნებით გაჯერებული ინიციატივების განხორციელებას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების საშუალებას იძლევა. ამ პროცესში კი კულტურა და ხელოვნება ცალსახად მნიშვნელოვანია ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თემებზე საზოგადოებრივი დისკურსის დასაწყებად, ამის საშუალებას კი ილია ჭავჭავაძის თემა ნამდვილად იძლევა.

პანკისის ხეობაში აღნიშნული ღონისძიების მხარდაჭერა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ითავა.

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო პროექტის პირველი ეტაპი 31 ივლისს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დასრულდა, ზაფხულის პერიოდის გამო ტაიმაუტის შემდეგ კი საქართველოს კიდევ არაერთი მუნიციპალიტეტი ჩაერთვება ილია ჭავჭავაძის 180 წლის იუბილეს აღნიშვნაში და „ეროვნული იმპერატივის“ თეატრალური პროექტისათვის ექსკლუზიურად შექმნილი სპექტაკლის „საუკუნის მკვლელობის“ ხილვა შეეძლება ადგილობრივ მაყურებელს. სცენაზე გაცოცხლებულია ილია ჭავჭავაძის თანამედროვე ეპოქა, ისტორიის მაჯისცემა და დრამატული მოვლენები და ისტორიულ პერსონაჟთა მთელი გალერეა.

დავით ქაცარავა საზოგადოებას რჩევისთვის მიმართავს

მსახიობი დავით ქაცარავა სოფელ ნიგოზაში საოკუპაციო ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფება და საზოგადოებას რჩევას სოციალური ქსელის საშუალებით სთხოვს:

– მეგობრებო! გწერთ საოკუპაციო ზონის მიმდებარე ტერიტორიიდან, სოფელ ნიგოზადან, სადაც განლაგებულია სამოქალაქო სამშვიდობო სადამკვირვებლო მისია „ძალა ერთობაშია“. მჭირდება თქვენი რჩევა, თუ სად შეიძლება შევიძინოთ ხარისხიანი ოპტიკური ხელსაწყოები. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული აღჭურვილობა არ გვაძლევს საშუალებას, ხარისხიანად დავაკვირდეთ ოკუპანტების უკანონო ქმედებებს. დიდი მადლობა წინასწარ.

მუსიკისა და დრამის თეატრის უხუცესი მსახიობი გარდაიცვალა

100 წლის ასაკში ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრის ღვაწლმოსილი მსახიობი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ქეთევან კობახიძე გარდაიცვალა.

ინფორმაცია ამის შესახებ მუსიკისა და დრამის თეატრმა გაავრცელა.

ქეთევან კობახიძე „მუსკომედიის“ თეატრის ერთ-ერთი გამორჩეული მსახიობი იყო და ხალხის უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა. მის მიერ შექმნილი არაერთი საინტერესო და დაუვიწყარი სახე კიდევ დიდხანს ემახსოვრება თეატრის ერთგულ მაყურებელს.

ქეთევან კობახიძის შვილიშვილმა ირაკლი ჩოლოყაშვილმა ბებიის გზა აირჩია, მსახიობი გახდა და მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობს.

მარიამ ხაჭვანი სახელმწიფოს კინოს ხელშეწყობას სთხოვს

ახალგაზრდა რეჟისორი მარიამ ხაჭვანი სახელმწიფოსა და ბიზნესმენებს ქართული კინოს ხელშეწყობას სთხოვს.

მისი ფილმი „დინოლა“ არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული და პრიზიორია, მარიამის ახალი ფილმი „დედე“ კი ახლა იწყებს საერთაშორისო კინოფესტივალებზე მოგზაურობას, თუმცა გარკვეულ წარმატებებს უკვე მიაღწია.

მარიამ ხაჭვანი:

– ჩემი ფილმის ჩვენების მერე ერთი ხორვატიელი მოვიდა აღფრთოვანებული და მეუბნება, რომ როგორც კი ფილმი ნახა, მაშინვე დაურეკა თავის ვაჟს, რომელიც საქართველოში სამოგზაუროდ იყო წასული და უთხრა, უშგულში აუცილებლად წადიო. ბიჭმა იქიდან უპასუხა, უშგულში ვარ ახლაო. ეს კაცი ემოციურად მიყვება, მე ფილმში ვიყავი უშგულში და პარალელურად ჩემი შვილი რეალურ უშგულში ყოფილაო. აუცილებლად ჩამოვალ მომავალ წელს ოჯახითო. ძალიან ბევრი დაინტერესდა ჩამოსვლით.

ვფიქრობ, კინო ყველაზე კარგი საშუალებაა, საქართველოს ულამაზესი ადგილები და კულტურა აჩვენო. იმედი მაქვს, სახელმწიფოც და ბიზნესმენებიც მიხვდებიან, რომ კინო მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი ბიზნესია ფულის მოსაზიდად.

ქართველი ბარიტონი ვერდის ოპერაში მთავარ პარტიაზე მიიწვიეს

გერმანიაში მოღვაწე ქართველი ბარიტონი გოჩა აბულაძე ჯუზეპე ვერდის ოპერაში მთავარ პარტიაზე მიიწვიეს.

გოჩამ კლასიკური მუსიკის მოყვარულებისთვის ვერდის ოპერაში მთავარი როლი, ბელფიორეს პარტია შეასრულა. სპექტაკლი გერმანიაში ცნობილმა რადიო „კულტურამ“ გადასცა, გამოვა დისკიც, რომელიც სულ მალე გაყიდვაში იქნება.

გოჩა აბულაძე:

– შტუდგარტის ფილარმონიულ ორკესტრს მაესტრო მარკუს ბოში დირიჟორობდა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ჩვენს საამაყო და ჩემს უსაყვარლეს მეგობარ ხატია ბუნიათიშვილთან ერთად გამართა 90.000 ადამიანის თანდასწრებით მასშტაბური კონცერტი ქალაქ ნიურნბერგში!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე მაყვალა ხუჭუა, შვილები ინგა, გია გურგენიძეები, შვილიშვილები გუკა, ირინა გურგენიძეები, ელენე, სოფო ჩაგუნავები, რძლები მარიანა ფურცელაძე, თათია მამადაშვილი, სიძე მერაბ ჩაგუნავა, შვილთაშვილები ნიტა, მარიტა გურგენიძეები, დისშვილები მიხეილ, თამუნა შუბითიძეები, ნინო ბეჟაშვილი, კახა ხელაძე, მძახლები ნოე ჩაგუნავა, მანანა, ლევან ფურცელაძეები, ქეთი, პეტა მამადაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გურამ გრიგოლის ძე გურგენიძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 1, 2 აგვისტოს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 3 აგვისტოს, 14 საათზე.

მისამართი: ბარნოვის ქუჩა №73, I სადარბაზო.

გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, 9 გამოგონებისა და მრავალი რაციონალური წინადადების ავტორი, მსოფლიოში პირველი სამრეწველო-საცდელი მიწისქვეშა სატრანსპორტო საშუალებების „პნევმოტრანსპორტის“ სამშენებლო სამმართველოს უფროსი

გურამ გრიგოლის ძე გურგენიძე

მთელი ცხოვრების განმავლობაში თესავდა სიყვარულსა და სიკეთეს. იყო საუკეთესო მეგობარი, მეუღლე, მამა და ბაბუა.

თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ამხანაგების ჯგუფი

ნოე ჩაგუნავა და მისი ოჯახის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მისი მძახლის, ღვაწლმოსილი ადამიანის

გურამ გრიგოლის ძე გურგენიძის

გარდაცვალებას.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

სამშაბათი 1 აგვისტო

06.30 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. **"წინ" წარმატებისკენ" 10.10, 02.00** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. **"ჩინატო ვეტერინე" 12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.00, 03.00** დღის მხ/ფ **"ტრამვაი სახელად "სურვილი"** (მ.ბრანდო) **15.00, 05.05** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. **"ოფისი" 18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო" 20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. **"ცბიერი მოახლეები" 22.00** ტ/სერ. **"მთავრობა" 23.00** მხ/ფ **"კინგ კონგი"** (ე.ბროუდი)

ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.

08.00, 14.40 სერ. **"ელიფი" 09.20** სერ. **"პატარძალი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **11.20** სერ. **"ფიცი" 12.30** სერ. **"ლირსების სახელით" 2** სერ. **17.35** სერ. **"ხაფანგი" 18.45, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება" 21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. **"ძმა" 22.30** სერ. **"ვიკინგები 3" 2** სერ. **23.30** მხ/ფ **"პარტივი ჟენშარიტება" 01.00** მხ/ფ **"ლუბის ფარგოს ძარცვა" 02.45** მხ/ფ **"ცუდი ლეიტენანტი" 04.45** მხ/ფ **"ელიტარული საზოგადოება" 06.10** მხ/ფ **"ელიზა გრეიზსი: დაწყევლილი სავანე"**

05.30, 18.45 სერ. **"კაცი" 06.30, 20.03** სერ. **"დესპოტი ძმარი" 07.30** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი" 12.30** სერ. **"ფარსკვლავის დაბადება" 13.55** სერ. **"ფერიპას საიდუმლო" 15.30** სერ. **"წარსულის ჩრდილი" 16.55** სერ. **"დაკარგული წლები" 20.50** ლოტო **22.00** არჩევანი - დასკვნითი სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"**

08.00 ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. **"მორკი-2" 12.00** სერ. **"მაფიოზა 5" 8** სერ. **13.00** მხ/ფ **"კოქტეილი" 15.00** სერ. **"ანტიმაფია 8" 17.00** სერ. **"ინტერესის ობიექტი 4" 19.00** სერ. **"ბრეის ანატომია 12" 21.00** სერ. **"კრიმინალური რომანი" 1** სერ. **22.30** მხ/ფ **"სიმამაცის კანონი" 00.30** მხ/ფ **"საბანგებო ეფექტრადიცია" 02.50** მხ/ფ **"სამი მეფე" 04.55** მხ/ფ **"უბეხი" 06.55** მხ/ფ **"ცეცხლი და ყინული"**

08.00 ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. **"ღმერთების ხელდასხმული" " 09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** სერ. **"სიყვარულსა და ვიშს შორის" 10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30** ახალი ამბები **11.25** სერ. **"უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები"** მაგელანი II ნაწ. **11.50** ავტომანი **12.05** მოდი გავიყაროთ **12.55** სერ. **" პირადი საქმე" 15.00** სერ. **"ბანდოლერა" 16.05** სერ. **"ფოილის ომი" 18.00** სერ. **"ზიანი" 19.55** მე რომ ვიყო **20.00, 02.20** პრიორიტეტი **21.30** კრაზანა **22.35** სერ. **"სიყვარულსა და ვიშს ორის" 0.00** მხ/ფ **"ყალბი იდენტობა" 1.30** მოდი გავიყაროთ **03.20** სერ. **"რაუ"**

06.10 სპექტაკლი **"ილია 120" 07.25** დ/ფ "ველური ბუნება-გაცოცხლებული ჰულას ტბა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **10.45** პატერიკი-"არა განიკითხო" **10.40** დოკ.ფილმი "რამოდენიმე ეპიზოდი რეჟისორის ცხოვრებიდან" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** წმინდანები "წმ. ბასილ დიდი, წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. ათანასე დიდი" **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "სპილენძი" **15.05** ქართული ან/ფ **15.15** ჩვენი ფონდი "მაია ნინიძე-ილია მართალი" **15.45** კონცერტი **16.30** წმინდანები "წმინდა სერაფიმე საროველის სავანეში" **17.10** ქრისტიანული ხელოვნება "თანამედროვე ქართული საეკლესიო მშენებლობა" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი ალთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** სამყაროს შექმნა **19.30** დ/ფ "პატრიარქობის ჯვარისმტვირთველი" **20.00** ღია აუდიტორია "მამა ადამი (ახალაძე)" **20.40** ძილი ნებისა "იოსების სიზმარი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია "წიგნის მუზეუმი" **22.25** ჩვენი ფონდი "მეუფე ანანია-საქართველოს პატრიარქის შესახებ" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესია წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის დროს" **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 აგვისტოსთვის

- აშშ დოლარი — 2.4009
- ევრო — 2.8110
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1394
- 100 რუსული რუბლი — 4.0362

ამინდის პროგნოზი 1 აგვისტოსთვის

1 აგვისტოდან

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

20 ივლისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ანეკდოტი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ზოგიერთი ქალი იმისთვის გვეძლევა, რომ წინა ქალებზე ვიდარდოთ.

– ქალები? ხელისუფლებაც მასია.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, მეცნიერებს გამოუგონებიათ და თაგვებზე წარმატებით გამოუცდიათ დაბერების საწინააღმდეგო წამალი.

– მართლა? როგორი შედეგი ჰქონდა?

– ვერცერთმა თაგვმა სიბერემდე ვერ მიაღწია.

●●●

ქალური ლოგიკა:

„როდესაც სხვისი ქმარი უამრავ ფულს ხარჯავს შამპანურებზე, სანთლებსა და ფეიერვერკებზე, ის რომანტიკოსია, ხოლო საკუთარი – სულელი“.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– თურმე ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ქალების 15 პროცენტი ფსიქიკური დაავადების საწინააღმდეგო წამლებს იღებს.

– მართლა? და დანარჩენი 85 პროცენტი?

– არ მკურნალობს.

●●●

ზოომაღაზიაში ქალმა თითი თუთიყუშისკენ გაიშვირა და კითხულობს:

– ის ლაპარაკობს?

ამ დროს თუთიყუშმა საპასუხო შეკითხვა დაუსვა:

– თქვენ კვერცხებს დებთ?

●●●

ოფიცერი ახალწვეულს ეკითხება:

– გულახდილად მიპასუხე, თავს ბედნიერად გრძნობ, ჩვენს არმიაში რომ მსახურობ?

– დიახ, ბატონო ოფიცერო!

– და მანამდე რას აკეთებდი?

– კიდევ უფრო ბედნიერი ვიყავი!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ადრე, ჩვენი ბავშვობის დროს, მოსწავლე რომ სულელი გამხდარიყო, უნდა დაეწყო დალევა, მოწევა, გაკვეთილების გაცდენა.

– და ახლა?

– ახლა საკმარისია, სმარტფონი დაკარგოს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

13 ივლისიდან



ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

ქართული დეტექტივი ტომი 13

პატრიარქის ზაფხული

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

სერჟ ორიე კარიერას მანჩესტერ იუნაიტედში გააგრძელებს

პსჟ-ს კოტდიუვარელი მცველი სერჟ ორიე, დიდი ალბათობით, კარიერას მანჩესტერ იუნაიტედში გააგრძელებს.

ორიე უკვე შეუთანხმდა მანჩესტერს პირადი კონტრაქტის თაობაზე და ახლა უკვე გუნდები უნდა შეთანხმდნენ.

პსჟ არ არის წინააღმდეგი, სერჟ ორიე ინგლისში გაუშვას, ამიტომ მალე ეს ტრანსფერი ოფიციალური გახდება.

მანჩესტერ იუნაიტედი, სავარაუდოდ, 25 მილიონ ევროს გადაიხდის, თუმცა დეტალები ჯერჯერობით ბოლომდე ცნობილი არ არის.

მანჩესტერელები საკმაოდ აქტიურად ატარებენ ზაფხულს და ისინი კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას აპირებენ.

კარაგერი: „თუ კოუტინიოს ბარსელონაში უნდა თამაში, ლივერპული ხელს ვერ შეუშლის“



ლივერპულის ლეგენდამ ჯეიმი კარაგერერმა, რომელიც ამჟამად ტელევიზიაში მუშაობს საფეხბურთო ექსპერტად, განაცხადა, რომ თუ კოუტინიოს ბარსელონაში სურს თამაში, მაშინ ლივერპული მას ხელს ვერ შეუშლის.

– როგორც ლივერპულის გულშემატკივარს, მინდა, რომ კოუტინიო კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დარჩეს ლივერპულში, მაგრამ, თუ მას ბარსელონაში სურს თამაში, მაშინ ლივერპულს დათმობა მოუწევს. ბარსელონა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია, ამიტომ კოუტინიოს სურვილი ჩემთვის გასაგებია, – განაცხადა კარაგერმა. ბარსელონა მზად არის, კოუტინიოში 80 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ ლივერპული 150 მილიონს ითხოვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

კრიშტიანო რონალდუ სასამართლოზე მივიდა

რეალის პორტუგალიელი სუპერვარსკვლავის კრიშტიანო რონალდუს სასამართლო პროცესი 31 ივლისს გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ რონალდუს ბრალად გადასახადების გადაუხდელობა ედება.

კრიშტიანომ პროცესზე განაცხადა, რომ ის უდანაშაულოა და, რომ არა მისი იმიჯი, სასამართლოში საერთოდ არ მივიდოდა.

– კანონის წინაშე დანაშაული არ მიმიძღვის და არაფრის მეშინია. ამ პროცესზე მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ კრიშტიანო რონალდუ ვარ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ არ ვიქნებოდი, – განაცხადა რონალდუმ.

პროკურატურა რონალდუს 14 მილიონ ევროს ედავება, რომელიც მან 2011-14 წლებში არ გადაიხადა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

კანადელმა პენსიონერმა მილიონი დოლარი მეორედ მოიგო

კვებეკელმა პენსიონერმა ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ლატარიაში მეორედ მოიგო მილიონი ამერიკული დოლარი. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

69 წლის ჟიულ პარანმა ჯეკპოტი ონლაინ-კაზინო ლოტო-კვებეკში მოხსნა. თამაშში მონაწილეობისთვის, რომელმაც მას 1,2 მილიონი მოუტანა, მან სამ ამერიკულ დოლარზე ოდნავ მეტი თანხა გადაიხადა.

კაზინო მსგავსი მოგების შანსს ერთ 32 მილიონთან შეფარდებით აფასებდა.

პარანმა ასევე მილიონი დოლარი 2008 წელსაც მოიგო.

– ალბათ ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული! – განაცხადა კანადელმა პენსიონერმა.

მისი თქმით, აზარტული თამაშები, სეირნობასთან, ნადირობასთან და თევზაობასთან ერთად, მისი ერთ-ერთი მთავარი გატაცებაა. პარანი კვლავაც აპირებს ლატარიის თამაშში მონაწილეობის გაგრძელებას.

მიღებული ფულით კანადელი ახალი სახლის აშენებას გეგმავს.

– მართალია, ის ციხე-სიმაგრე არ იქნება, მაგრამ თანამედროვე სტილის სახლი კი გამოვა, – განაცხადა იღბლიანმა პენსიონერმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ხორცის გულიანი სვანური ორცხობილა; 2. ლუდის გამონახარში, დანალექი; 3. ინგლისის ნავსადგური პა-დე-კალეს სრუტეში; 4. ხიდის საყრდენი ბურჯი; 6. მდგომარეობა ჭიდაობაში; 9. ძეწკვზე ასხმული ქალის სამკაული; 13. ქოსა მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ბუდიზმის ფუძემდებელი; 15. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 17. ევროპა-აზიის გამყოფი ქედი; 18. ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი; 20. ჯიხვების ჯოგი.

თარაზულად: 1. ქართველი მოფარიკავე ქალი, ევროპის ჩემპიონი; 5. ინგლისური იუმორისტული ჟურნალი; 7. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 8. საზღვაო ლაინერის ზედა გემბანი, სადაც განლაგებულია სამაშველო ნავები; 10. დიდი ისტორიული პერიოდი; 11. მესაქონლეობის ფერმა ლათინურ ამერიკაში; 12. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 16. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 17. ბრიტანეთის ნაწილი; 19. ფრანგი მეზღაპრე; 21. მეტროს სადგური თბილისში; 22. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 23. ფულის ერთეული კუვეიტში; 24. დილის სადილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა